საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 15-16 თებერვალი. 2021 წ. №31-32 (9150-9151) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ზნეობისგან დაცლილი ③ ქვაბ-ავაზაკი

რა გააკეთა უჩვეულო ინგა გრიგოლიამ და რატომ არ ველოდით მსგავს სიბინძურეს პეტრე ცაავასგან?!

ქლიავები და ღამურები შალიკოს ფანჩატურში..②

მიშლა-მოშლა ევრო-ნაცურად ④

თამაზ გამყრელიძის უკვდავი სულიერი სამყარო

91 წლის ასაკში ბატონი თამაზი მარადიული ცხოვრების გზას შეუდგა. იგი იყო მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი, საზოგადო მოღვაწე და მრავალი ფრიად საპატიო რეგალიის მქონე პიროვნება, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ გახდა მაზიარებელი მორწმუნე.

წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ის საზოგადოებაში აღარ გამოჩენილა, თითქოს სულიერ სამყაროს დაუახლოვდა და მიწიერი ნაკლებად აინტერესებდა; დღეს კი საბოლოოდ ვემშვიდობებით.

აღვავლენთ ლოცვებს, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს ბატონი თამაზის უკვდავი სული, ხოლო მის მეუღლეს და შვილებს, ოჯახის ახლობლებს მოგმადლოთ მშვიდობა და მოგცეთ ძალა ლოცვისა.

ილია II

საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს საამაყო შვილის, მსოფლიო მასშტაბის მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო პრეზიდენტის, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრის, თბილისის საპატიო მოქალაქის ბატონი

თამაზ გამყრელიძის

გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებს და მთლიანად საქართველოს.

საქართველოს კულტურის ფონდი

მთაწმინდიდან დანახული სიმაღლე

იხ. 5 გვ.

ახალი სიცოცხლის დიდოსტატი



ვულოცავთ ბატონ არჩილ ხომასურიძეს!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი პატივისცემითა და გულითადი სიყვარულით ულოცავს დაბადების დღეს ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარსა და ავტორს, ი. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ახალი სიცოცხლის მოვლინების დიდოსტატს, ჩინებულ ადამიანსა და ექიმს ბატონ

არჩილ ხომასურიძეს

და ვუსურვებთ ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველოს მოქალაქეები გერმანიაში დროებით ლეგალურად დასაქმებას შეძლებენ ⑥

გალელები კარანტინის გაუქმებას ითხოვენ

ენგურის ხიდი ჩვენთვის ⑧ ჩაკეტილია!

უშველავთო შველავთი: ⑥ 200-იანი „წითელი ხაზი“



ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ: FITCH-ᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲪᲮᲐᲓᲧᲝᲤᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ

FITCH-მა დაადასტურა საქართველოს IDR რეიტინგი BB კატეგორიაში და განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ ხელახლა არჩევამ განამტკიცა ეკონომიკური პოლიტიკის უწყვეტობა, მიუხედავად ოპოზიციის მიერ პარლამენტის ბოიკოტთან დაკავშირებული პოლიტიკური დაძაბულობისა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე წერს.

როგორც პრემიერი აღნიშნავს, Fitch-ის განახლებული მონაცემები არის შესანიშნავი მაჩვენებელი, რომელიც ცხადყოფს საქართველოს მთავრობის სტრატეგიების სიმტკიცეს. სარეიტინგო კომპანიის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 2021 წელს 4.3 პროცენტით, ხოლო 2022 წელს 5.8 პროცენტით გაიზრდება. Fitch-ის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების ტემპი 'BB' კატეგორიის ქვეყნების მედიანურ მაჩვენებელთან შედარებით მაღალი იქნება.

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲔᲖᲦᲣᲓᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ბინადრობის ნებართვას ვერ მოიპოვებს პირი, რომელსაც ჩადენილი აქვს, ოჯახში ძალადობა ან სხვა დანაშაული, რომელიც ადამიანის წინააღმდეგ არის მიმართული და არ განეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

შესაბამისი ცვლილებები პარლამენტის ბიუროს დღეს წარედგინება, რომლის ინიციატორი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძეა. კანონპროექტში აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა ხდება უცხოელის საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძველი.

დღეს მოქმედი კანონით, უცხოელს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება ეთქვას უარი, თუ იგი მსჯავრდებულია მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, რომელიც მას ჩადენილი აქვს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲑᲘᲜᲐᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲚᲘᲓᲐᲜ 12 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ დროებითი ბინადრობის ნებართვის გაცემის მაქსიმალური ვადა — ექვსი წელი, 12 წლით იცვლება. შესაბამისი ცვლილებები ბიუროს ხვალინდელ სხდომას წარედგინება, რომლის ინიციატორი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძეა.

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ დროებითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოში უცხოელის სავარაუდო ყოფნის ვადით. ასევე ინიციატივაში ნათქვამია, რომ უცხოელს საქართველოში ექვსი წლის განმავლობაში დროებითი ნებართვის საფუძველზე ცხოვრების შემთხვევაში მიეცემა შესაძლებლობა, გააგრძელოს დროებითი ბინადრობის ნებართვის ვადა იმის ნაცვლად, რომ მუდმივი ბინადრობის ნებართვა აიღოს, ეს როგორც ამჟამად ხდება.

ᲥᲚᲘᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘ ᲨᲐᲚᲘᲙᲝᲡ ᲤᲐᲜᲩᲐᲢᲣᲠᲨᲘ..

ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ? ხდება ის, რაც უნდა ხდებოდეს, რაც გარდაუვალია მოვლენათა მსვლელობის ლოგიკით — წმენდა და სახელისუფლებო ცვლილებები პარტიებში.

ოქტომბრის არჩევნებმა ბევრ რამეს ახადა ფარდა. იმ პარტიების წევრებმა, რომლებმაც სცადეს თავიანთი ჩავარდნა მხოლოდ „გაყალბების“ საეჭვო ვერსიით აეხსნათ, ხელმძღვანელებს დაუსვეს მძიმე კითხვა.. რა მოხდა, როგორ მოხდა, რატომ მოხდა, რომ პარტია, რომლის ხელმძღვანელობა ასე ხმამაღლა და დაბეჯითებით წინასწარმეტყველებდა უეჭველ გამარჯვებას, ასე სამარცხვინოდ ჩავარდა, მიიღო ხმათა მხოლოდ 3-4 პროცენტი, ან ძლივს გადაღოღდა მიჯნაზე, უმრავლესობა კი საერთოდ მიღმა დარჩა.

და პარტიებში გარდაუვალი ფერთხვა დაიწყო. თავმჯდომარეები გამოიცვალეს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ქართულმა ოცნებამ“ — მათაც ნავარაუდევზე ნაკლები ხმები მიიღეს. ახლა, როგორც ჩანს, „ევროპული საქართველოს“ ჯერი დადგა.

დიდი ხანია, დროა! ამ პარტიების ლიდერები და აქტივისტები გრძელი ენებით გამოირჩევიან (ამ შემთხვევაში ენაგრძელობა ენამრავლობის, ენაშვებულობის, გნებავთ, ენამჭევრობის მნიშვნელობით ვიხმარე). გაიხსენეთ გიგა ბოკერიას „ყველაფრის განმმარტებელი,“ ყოველთვის „მართალი“, ჩახუჭუჭებული, სათანადო ჟესტიკულაციით ილუსტრირებული გამოსვლები, გიგი უგულავას მსმენელთა ყურთათვის ძნელად მოსასმენი ღრიალა საჯარო სიტყვები, სადაც არგუმენტებს ყოვლად უსინდისოდ ცვლის ხმის უმაღლესი რეგისტრი, დაბოლოს, დავით ბაქრაძის დუდღუნა, შრიალა მტკიცებანი, ჩვენ გავიმარჯვებთო, რომლებიც ძალიან გვაგონებს ქვეყნიდან გასაქცევად გახაზირებული ამ კაცის მგზნებარე მოწოდებებს 2008 წლის აგვისტოში. ჩანგლებით, დანებით, შამფურებით შეებით ტანკებით და თვითმფრინავებით შემოჭრილ მტერსო, „ბლანჟე“ სერგი კაპანაძის ცქრიალა „მიგნებები“...

არც 2008-ში ომში და არც 2020-ში არჩევნებში დავით ბაქრაძის „სტრატეგიამ“ არ გაამართლა. იმდენი იძახა, ვიმარჯვებთ, ვიმარჯვებთო, რომ თავიც დააჯერა, უკვე კვლავ პარლამენტის თავმჯდომარე ვარო და თავისი აქტივიც. და ბახ! მხოლოდ 4 კაცი პარლამენტში! ბოკერია და უგულავა — საერთოდ გემბანს მიღმა აღმოჩნდნენ!

და ევროპული საქართველოს ხელმძღვანელობამ მამალი განცხადება გააკეთა, რომელიც ბომბივით გასკდა, დ.ბაქრაძემ და გ.უგულავამ აღიარეს რომ პასუხისმგებლობას გრძნობენ პარტიის საარჩევნო შედეგების გამო და პარტიის ხელმძღვანელობის პოსტების დატოვება გადაუწყვეტიათ პარტიის ყრილობაზე, რომელიც მაისში გაიმართება. მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, მათი სწორი, მართებული ნაბიჯი არ გაიზიარა მესამე ლიდერმა გიგა ბოკერიამ. თანაპარტიელებმა გოკა გაბაშვილმა, ზურაბ ჭიაბერაშვილმა, დავით დარჩიაშვილმა და სხვებმა კი შეუძახეს, არ იქცევი სწორადო. შეძახილი ხეს გაახმობს, პატარძალს დააორსულებს,მაგრამ გიგა ბოკერიას ნაბიჯს ვერ შეაცვლევინებს. მით უფრო ახლა, როცა მისი პარტიაში ერთპიროვნული ბელადობის შესაძლებლობა იკვეთება... სიტყვა მაისის ყრილობაზეა!

აბა, რა გასაჩერებელია პარტიის ხელმძღვანელებად შალვა ნათელაშვილი თავისი ერთკაციანი საარჩევნო გამარჯვებით და ნინო ბურჯანაძე 0.95-პროცენტიანი „მიღწევით“. ეს ლიდერები გამოირჩევიან თავიანთი თავის ნარცისული სიყვარულითა და ჭკუიდან გადასული დაჯერებულობით, რომ რაღაც მნიშვნელოვანს, რაღაც განსაკუთრებულს, შეუცვლელს წარმოადგენენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში...

პარტიებში დუღილი სულ უფრო მაღალ ტემპერატურაზე ადის და ფესვებს უხარშავს ოპოზიციის მითიურ „ერთობას“. ერესი თანდათან ედება ოპოზიციის ოდინდელ ურღვევ, მძლავრ სხეულს ნაცმოძრაობის მტკიცედ კონტროლირებად სივრცეში. ხან აქ,ხან იქ ფეთქდება ბუნტი. აი, იმ დღესაც ნაცმოძრაობის სატელიტი რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ ხათუნა სამნიძემ მოწმენდილ ცაზე დაახეთქა: თუ „ქართული ოცნება“ პარლამენტში დაარეგისტრირებს კანონპროექტს, რომელიც არჩევნების პროპორციული წესით და ბუნებრივი ბარიერით ჩატარებას უზრუნველყოფს, მზად ვართ, ამ კანონპროექტის კენჭისყრაში მივიღოთ მონაწილეობა ერთჯერადად! იქვე ქოშინით დაამატა, ეს პარლამენტში შესვლას არ ნიშნავს, მხოლოდ კონკრეტული კანონპროექტის მხარდაჭერას და კვლავ ბოიკოტის რეჟიმში დავრჩებითო.

სინამდვილეში ეს რაღაც ერთჯერად პარლამენტარობას ნიშნავს. ეს ნიშნავს, რომ რესპუბლიკური პარტია ნახევრად ორსულია, ანუ კბილები უკაწკაწებს, ისე უნდა პარლამენტში შესვლა, მაგრამ არ იცის, რა ფორმით მოაწერხოს ეს. მოკლედ, საკუთარი სიჯიუტის მსხვერპლია.

ბუნებრივია, რესპუბლიკელთა წინადადებას თანამოძმეთა გამოხმაურება მოჰყვა.„ლელომ“ დასახვრეტად გაყვანილი პარტიზანებივით მტკიცედ მიახალა, არაო. „სტრატეგია აღმაშენებელმა“ ჩვეულებისამებრ დიპლომატიურად მიჰქარგმოჰქარგა, ბოიკოტს შევინარჩუნებთო, ნაცმოძრაობამ უფრო უორჭოფოდ განაცხადა.. ჩვენ, შენი ჭირიმე, ბუნებრივი ბარიერის მნიშვნელობას მხოლოდ ვადამდელი არჩევნების კონტექსტში განვიხილავთო და რესპუბლიკელებმა თავიანთი მკვდრადნაშობი წინადადება უკან წაიღეს. ოცნებელმა მამუკა მდინარაძემ მთელ იწილო-ბიწილოს მორგებულად“ ბავშვური თამაში“ უწოდა.

მოდი და არ გაგიკვირდეს. იგივე რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი, კაცმა არ იცის, საიდან და რატომ გაღივებული სიამაყით აცხადებს, ჩვენ ინტელექტით ვუგებთ „ოცნებასო“. ოღონდ, გაურკვეველია ამ „ჩვენ“- ში საკუთარ თავთან ერთად კიდევ ვის მოიაზრებს.

ზევით უკვე ვთქვით, რომ პარტიებში დუღილი და მოძრაობაა. ლევან კობერიძემ „ლელო“ დატოვა და ეს ნაბიჯი ასე ახსნა, ამ პარტიაში იმ იმედით ვიყავი, რომ იგი მესამე ძალად იქცეოდა, ეს მიზანი არ შესრულდა, ამიტომ პარტიიდან გავდივარ, მით უფრო, რომ პოლიტიკური განსხვავებები ადრეც მქონდაო.

„ჩვენი საქართველო — სოლიდარობის ალიანსი“ დატოვა ბექა ნაცვლიშვილმა, მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა. სხვათა შორის, ასევე ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გედევან ფოფხაძემ ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნების წინ განაცხადა: „აუცილებელი არ არის ადამიანი პარტიაში იყოს, რათა თავის პოლიტიკურ მიზანს ემსახუროსო“.

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ „ᲒᲘᲠᲩᲘ“ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ. ᲘᲫ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲐ. ᲠᲝᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ, ᲕᲔᲠ ᲒᲐᲘᲒᲔᲑ ᲕᲘᲡᲘ ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲝ ᲕᲘᲡ ᲠᲝᲘᲐᲚᲨᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲦᲘᲫᲕᲐᲛᲔᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲜᲘ ᲐᲛᲐᲡ?

გიგი უგულავამ, მაგალითად, „გირჩს“ „ქლიავების პარტია“ უწოდა. ქლიავი, მოგეხსენებათ, საამო ხილია, მაგრამ თიკუნად ქლიავობა (დაქლიავება ან გამოქლიავება) სწორედაც რომ უამური რამ უნდა იყოს. საინტერესოა, რა ხასიათზე დადგება ზურა გირჩი ჯაფარიძე მის სახელს ამ ცვლილების შესაბამისად თუ ასე მოიხსენიებენ ზურაბ ქლიავი ჯაფარიძე. თუმცა, თავის საქმის თვითონ იცის...

ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ, რომელიც გაფაციცებულია, რომ უკომენტაროდ არ დატოვოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი არც ერთი მოვლენა, რათა ოპოზიციაში დაიმკვიდროს სასურველი ნიშა, ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ფიგურის შარავანდედი, როგორც კი შეიტყო, ერთ-ერთმა გირჩელმა განაცხადა, ვერ ვამტკიცებ, რომ არჩევნები გაყალბდაო, მთქმელსაც და მის თანაპარტიელებსაც სულ ღამურები უძახა — არც ოპოზიცია და არც ხელისუფლებაო, ეს პირდაპირ ივანიშვილის თამაშიაო.

მგელი ვერ მოშლის მგლობასა! როგორც ხედავთ, „გირჩით“ დაიწყო და ბოლოს მაინც ივანიშვლს უკბინა უადგილო ადგილას. რა შუაშია ივანიშვილი „გირჩის“ გამოფხიზლებასთან?

მაგრამ ჩვენს ოპოზიციას რას გაუგებ. მაგალითად, უფალი ნიკა მელია, რომელიც დღე და ღამე ჯაჭვგაუხდელ დაუღალავ იდეურ მებრძოლად მიგვაჩნდა, თურმე ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მეწვრილმანე ყოფილა... იმ დღეს „ღამის კურიერში“ განაცხადა, პარლამენტში ჩემი შესვლის საკითხს წერტილი უნდა დაესვას — არ მინდა კობახიძის და თალაკვაძის გვერდით ჯდომა, გინდათ, ძალით დამაქორწინოთ ამ ადამიანებზეო? თურმე, უბრალოდ ოცნებელები არ მოსდის თვალში, იდეური შეუთავსებლობა რა შუაშია!

ახლა ნიკანორი ისეთ ნაბიჯს დგამს, ქვეყანას აოცებს. საქმეში ჩახედულ ხალხს ეს ნაბიჯი უკრაინაში მიშა საკაშვილის გათვლილად და დამოწმებულად მიაჩნია. მელია თავისი ფეხით, თავისი სურვილით მიდის ციხეში, რათა გმირის, წამებულის, პოლიტ დევნილის კვართი მოირგოს. მელია სააკაშვილის თამაშს თამაშობსო, არის ბეჯითი საერთო აზრი.

ძალაუნებურად იფიქრებ, რომ ეს მართებული აზრია! მით უფრო, რომ პარასკევს, როცა გირაოს გადახდის ვადა მიეწურა, მელიამ ბრიფინგი მოაწყო და საბოოლოდ განაცხადა, არ გადავიხდი და თუ ბიჭები არიან, დამიჭირონო. მე უსამართლობის ჯაჭვი უნდა გავწყვიტოო.

ერთი სიტყვით, ხელისუფლებას სხვა გზა არ დაუტოვა, გარდა იმისა, რომ მართლა ჩასვან ციხეში!..

ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ზნეობისგან დაცლილი ქვაბ-ავაზაკი

რა გააკეთა უჩვეულო ინგა გრიგოლიამ და რატომ არ ველოდით მსგავს სიბინძურეს პეტრე ცაავასგან?!

მხოლოდ ერთი წუთით მომისმინეთ!. განსაკუთრებით, იმ ადამიანებმა, ვინც ინგა გრიგოლიასთან მღვდელმსახურებიდან გადაყენებული სინოდის ერთ-ერთი წევრის ყოვლად უზნეო ბრალდებებმა აღაშფოთა.

დავსვათ რამდენიმე კითხვა და ჩვენვე ვუპასუხოთ:

ვინ არის დღემდე მღვდელმთავრის მანტიაში გახვეული, მიტროპოლიტად წოდებული პეტრე ცაავა?!

თავის დროზე წმინდა სინოდის და იგივე პატრიარქის მიერ აღზევებული ქვაბავაზაკი, რომელიც დღეს ყველაზე საიმედო (დასაყრდენი) იარაღი აღმოჩნდა სატანის ხელში ეკლესიის წინააღმდეგ საბრძოლველად!

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მღვდელმთავრად წოდებული, ზედმიწევნით ასრულებს სატანური ძალების დავალებას და მიზანმიმართულად ურტყამს იქ, სადაც ყველაზე სუსტი წერტილია და მცირედმორწმუნე მრევლს პატრიარქისა და ზოგადად, საქართველოს ეკლესიის საწინააღმდეგოდ განაწყობს!

მეტიც, აქრობს მათში მინავლულ რწმენას, ხოლო, ფსევდომორწმუნე მრევლს ეკლესიის დასაცავად „ამზადებს“, რაც თავის თავში ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც არ გამორიცხავს!

რას ემსახურება „TV პირველი“ და მისი მძიმე არტილერიად წოდებული, „მაღალრეიტინგული“ ჟურნალისტი (იმდენი მაგას რა ვუთხარი) ინგა გრიგოლია?!

რა თქმა უნდა, უზნეობის დემონსტრირებას და სატანური იდეების პროპაგანდას, რომელსაც ნოყიერი ნიადაგი გააჩნია პატრიარქის (ეკლესიის) „დამცველი“, სინამდვილეში კი, აგონიაში მყოფი მაყურებლის სახით!

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ:

ყველამ, ვისაც აღიზიანებს პეტრე ცაავას და მღვდლისა თუ მღვდელმთავრის მანტიაში გახვეული სატანის სხვა მოციქულების უზნეო ბრალდებები პატრიარქის წინააღმდეგ, საერთოდ „დააიგნოროს“ ასეთი ბილწი გადაცემები და მსგავს სიბილწეებს უფლისადმი გაძლიერებული სიყვარულით ებრძოლოს?!

ჩემამდე ვერ დადის, როგორ, რა გზითა და საშუალებებით უნდა დავიცვათ ჩვენ პატრიარქი, რომელიც თავად უფალმა დაადგინა ჩვენს უმაღლეს სასულიერო იერარქად?!

ცეცხლითა და მახვილით ამოვშანთოთ ბოროტება?

ჩვენ ხომ ბოროტების ზეობის ეპოქაში მოგვიწია ცხოვრებამ, რომელიც თავად უფალმა დაუშვა ჩვენს გამოსაცდელად და ჩვენგან გაძლიერებულ სიყვარულსა და სულიერ სიმტკიცეს მოითხოვს?!

ჩვენ ხომ წინასწარ ვიცით ბოლო ჟამის გარდუვალობა და ისიც კარგად ვიცით, რომ მხოლოდ სულიერად განმღრთობილები გადარჩებიან?!

არც „შვილების“ „მამის“ წინააღმდეგ ამხედრებაა ახალი და არც ციხის „შიგნიდან გატეხვის“ მცდელობა...

ამდენად, ეკლესიებში არც სატანას დაქვემდებარებული მღვდლებისა და მღვდელმთავრების არსებობა უნდა გვიკვირდეს!

ამის ცოცხალი მაგალითია თავად კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც იობის სიმშვიდით ითმენს ყველაზე ბინძურ ბრალდებებსაც კი – მან ყველაზე კარგად იცის, რატომ აუმხედრდა ერთ დროს მის მიერვე აღზევებული და მღვდელმთავრად ხელდასხმული პეტრე ცაავა!

ეკლესიის გარშემო დარაზმვა და ერის სულიერი მესაჭის სატანისტებისგან დაცვა, ჩვენგან მხოლოდ სულიერი ერთობითა და სიყვარულის გაძლიერებითაა შესაძლებელი და არა ცარიელი მუშტის მოღერებით.

მე პირადად არ მიკვირს, რაც დღევანდელ საქართველოს ეკლესიაში ხდება. პირიქით, უფრო უარესის მოლოდინშიც ვარ!

ზაურ ნაჭყებია,
პუბლიცისტი

P.S. **ძალიან ბევრი საყვედურობს წმინდა სინოდს, თუ რატომ არ გადააყენა 11 თებერვალს სხდომაზე ურჩი მღვდელმთავარი პეტრე ცაავა და რატომ არ მოიკვეთა იგი საქართველოს ეკლესიამ?!**

უნებლიედ ძალოვანი სტრუქტურის ყოფილი ოფიცრის ნათქვამი გამახსენდა, რომელიც მან 2012 წლის ოქტომბერში „ნაციონალების“ არჩევნებში დამარცხების შემდეგ მითხრა ერთ-ერთი ტაძრის ეზოში: „ესენი ასე იოლად არ შეეგუებიან ძალაუფლების დაკარგვას - „ნაციონალებს“ ბინძური კომპრომატები აქვთ შემონახული ეკლესიის მაღალიერარქებზე და როცა დასჭირდებათ, მაშინ ამოატივტივებენ, ან მუდმივი ბრალდებებისა და ზეწოლის ქვეშ ეყოლებათ ეკლესია. ეს ყველაზე დიდი ნაღმია მათ ხელში და უკიდურეს სიტუაციაში ააფეთქებენ კიდეც“!

არ გამოვრიცხავ, ასეც მოხდეს. თუმცა, ჩვენ ეკლესიაში უფალს და არა ზნეობისგან დაცლილ მღვდლებსა და მღვდელმთავრებს უნდა ვეძებდეთ!!!

ბასკეთილ-დაფლეთილი პროტესტი

„მე გათავისუფლებთ იმ ქიმერისგან, რასაც ჰქვია სინდისი!“

ჰერმან გერინგის ეს მოწოდება ყველა ცივსისხლიანი ნაძირალას არსებობის უმთავრესი დოგმაა.

ბუნებრივია, ნებისმიერ ადამიანს და მათ შორის მეც (შეიძლება ითქვას, რომ ბევრზე უფრო მეტადაც), გვაქვს ცოდვები.

ვაშავებთ ნებსით, ხანაც უნებლიედ, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ როცა ღამით, ძილსა და ღვიძილს შორის არსებულ იმ რამდენიმე წამიან შუალედში გვახსენდება ის ცუდი საქციელი, რაც ჩავიდინეთ და რაღაც ჭია გვღრღნის, გვღრღნის და არ გვასვენებს... ვიწყებთ ტრიალს, ვცდილობთ მოვიშოროთ, მაგრამ არ გამოგვდის.

ზებოს ჩამოკვრის მომლოდინე ოპოზიცია

არ ვიცი, თქვენ როგორ ხართ, მაგრამ მე ჩემი ცოდვების მხოლოდ 80% მაღელვებს და იმ 20%-ს, მიუხედავად იმისა, რომ ცუდია, მაინც გავიმეორებდი.

მაპატიეთ ამ ცოტა დიდი შესავლისთვის, რადგანაც ის, რაზეც ეს დღეებია ვფიქრობ, უსინდისო ადამიანობისგან თავისუფალ არსებებს ეხება. არ მესმის ივერი მელაშვილის, არ მესმის რევანშისტი პარტიულების, იმ სექტანტების, რომლებიც თავიანთი კერპის სადიდებლად მზად არიან მართლა შეჭამონ ბავშვები.

არ მესმის იმ ხალხის, რომლებიც ყოველ დღე საზოგადოების მიმართ ფსიქოლოგიურ ტერორს აწარმოებენ არა იმიტომ, რომ სჯერათ, არამედ იმიტომ, რომ ამაში ფულს იღებენ (ალ ქაიდას ტიპები, რაღაც მიმართულებით მორალურად მაგათზე მაღლა დგანან).

არ მესმის ის ღვარძლი, ბოღმა და სიხარბე, რაც ბევრ პოლიტიკანშია ჩაბუდებული.

არ ვიცი და ალბათ ვერასდროს გავიგებ.

რამდენიმე დღეა ვკითხულობ და მესმის აღშფოთებული გამოხმაურებები იმ ამაზრზენი გადაცემის შესახებ, რომელიც „ტვ პირველის“ ეთერით გავიდა.

აბსოლუტურად ვეთანხმები ყველას, მაგრამ შედეგი?

დიახ, რა შედეგი აქვს ჩვენს გაბრაზებას?

რა, ყველანი, ვინც იმ მარაზმში მონაწილეობდნენ, ხვალ გამოვლენ, თავზე ნაცარს წაიყრიან და ცოდვებს საჯაროდ მოინანიებენ?

რას ვითხოვთ მათგან?

წესიერებას, სიმართლეს, თუ მახინჯი აზრების უარყოფას?

რა სისულელეა!..

მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ვიღაც თაღლითი და არამზადა „სასულიერო პირის“ გამოყენება ვიღაცეების მარაზმატული ვნებების დაკმაყოფილებისთვის...

თუ მოსათხოვია რამე, პირველ რიგში ხელისუფლებას უნდა მოეთხოვოს. მოსათხოვია აშკარა დამნაშავეების დასჯა, რათა ხალხში ნიჰილიზმი და უიმედობა დამთავრდეს.

მოსათხოვია პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღება არა უკვე ამაზრზენი „დემოკრატიული პრინციპების“ ნარატივით, არამედ სახელმწიფოს მომავლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მოსათხოვია „საზმაუს“ რეალურად ხალხის სამსახურში ჩაყენება და არა რაღაც ლუზერი დაწესებულების ჩვენი ხარჯით შენახვა.

მოსათხოვია განათლების სისტემის ძირეული რეფორმა.

მოსათხოვებია კულტურის სფეროს გაჯანსაღება. ახალი სამინისტროს არა „ეროვნული ბოზების“ და იდიოტური ხედვის მქონე „ხელოვნების“ დასაფინანსებელ სალაროდ ქცევა, არამედ ნამდვილ კულტურასა და თანამედროვეობის გამოწვევებს შორის უჯიშო, ურწმუნო, უსქესო და უეროვნებო ხალხის მიერ გაჩენილი ბზარის ამოვსება და მათგანვე ნამდვილი ხელოვნების რეტროგრადულ გადმონაშთად და რუსული ინტერესების გამტარებლად შერაცხვის დასრულება. სანამ ეს არ მოხდება, ისევ დეპრესიულ-ნიჰილისტური ქვეყანა ვიქნებით.

ყველა ის ტიპი, ვისაც „ტვ პირველის“ და „მთავარის“ „იმფორმაციების“ სჯერათ (კორექტურა არ გეგონოთ, ესენი „ინფორმაციებს“ კი არა, ზუსტადაც რომ „იმფორმაციებს“ ავრცელებენ) და გახარიას გადაყენებას შამპანურის ჭიქებით ხელში ელოდებიან, სპირიდონა სულანჯიას იმ „მრევლს“ ჰგვანან, ორმოში მჯდარი ზებოსგან ზარის ჩამოკვრაზე რომ არიან გაფაციცებულნი.

* * *

აუცილებლად მინდა შევეხო იმ თემას, რომელიც დღევანდელი გაფარჩაკებული პოლიტიკური ცხოვრებისა და ასევე გაფარჩაკებული მედიის მთავარ თემად იქცა.

თემად, რომელიც ნორმალურ ქვეყანაში გაზეთის ბოლო გვერდზე უსურათო ნიუსის ადგილს თუ დაიკავებდა, მაგრამ ეს ჩვენი „ზებოს ჩამოკვრის მომლოდინენი“, უმთავრეს სკანდალად გვასაღებენ.

გადაიხდის თუ არა ნიკანორ მელია გირაოს და დააკავებენ თუ არა მას?

არ დავიწყებ იმაზე საუბარს, თუ როგორ ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს „სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული“ თანხების ამოღება და ამ „სახელმწიფოებრივ საქმეში“ არც ვინმე ნიკანორ მელიას როლზე ვიტყვი რამეს.

არც იმ მაგალითს მოვიყვან, თუ როგორ დააკისრა საპროცესო შეთანხმებით მაშინდელმა ე.წ. რეფორმირებულმა სასამართლომ 17 წლის ბავშვს სხვისი მოპარული ტელეფონის შეძენისთვის 179000 (ას სამოცდა ცხრამეტი ათასი!!!) ლარი.

არც კაპიტოლიუმში შეჭრის შემდეგ აშშ-ს ხელისუფლების მიერ გადადგმულ კანონიერ ნაბიჯებზე ვისაუბრებ.

ცხადია, არც მელიას „რევოლუციურ დაუმორჩილებლობაზე“ და მისი მომხრეების ორმაგ სტანდარტზე და სინდისზე ვიტყვი რამეს.

უბრალოდ, მივმართავ ხელისუფლებას – კანონი უნდა აღსრულდეს! უნდა აღსრულდეს იმიტომ, რომ საზოგადოებას ისევ არ გაუჩნდეს ვიღაცეების დაუსჯელობის, საკუთარი დაუცველობის და უიმედობის განცდა.

მელია გირაოს არ იხდის. აცხადებს, რომ თუ ვინმემ გადაუხადა, პროკურატურის და ხელისუფლების პროვოკაციად ჩათვლის.

ამ დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ ვიღაც ერთი პირი, ან ადამიანთა ჯგუფი, მზად არიან გახდნენ პროკურატურისა და ხელისუფლების პროვოკატორები, არ დაუჯერონ პარტიის ლიდერს და გირაოს თანხა უჩუმრად გადაიხადონ.

კაი, მელიას პოზიცია გასაგებია, „გმირობა“ უნდა და ცხადია რაღაც უტიფარ „ლოზუნგებს“ გადმოაფრქვევს, მაგრამ ის ტიპები რა „დედმამამოკლული“ როჟები“ არიან, როცა „ტვ პირველზე“ ვინმე მაია სტეფნაძის (ნუ იცინით, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია) გადაცემებს უყურებთ და მელიას, რომელიც იძახის „არ მინდა ვალიკო ბინოკლიო“, „მიპარვით ტენით“ 40000 ლარს!!!

არ გამოვა ნიკანორ, ეგ საქმე. ვერანაირად ვერ გახდები ვერც გმირი და ვერც ტანჯული.

ვერ გახდები იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვეულებრივი თაღლითი ხარ.

თუ ვინმე გეუბნება, რომ შენი გუნდელები ტანზე თაფლს წაისვამენ და მატროსოვთან დასხდებიან, გატყუებს.

მეტი საქმე არა აქვთ ბოკუჩავას და ხაბეიშვილს, შენი გულისთვის თაფლი იყიდონ!

არც საპროტესტო ტალღა აგორდება.

ჩემზე კარგად იცი, რომ პატარა „ლახანკაში“ ტალღის აგორება შეუძლებელია.

არც „პროტესტის“ დასაბუთება გივარგა. გაცვდა და დაიფლითა ეგ პროტესტი და „ტვ პირველში“ სათქმელადაც აღარ ვარგა.

ასე რომ, წადი, ჩაბარდი პოლიციას. იჯდები ცოტა ხანი და კაცი გამოხვალ!

И в тюрьме люди живут.

ეგაა და ეგ!..

გია გაბრიჭიძე

მიშლა-მოშლა ევრონაცურად

ამ ბოლო დროს ქართულ საინფორმაციო სივრცეში ერთი ამბავია ატეხილი, „ევროპული საქართველო“ იშლებაო, თითქოს ქვეყანა მოსახლეობისთვის საჭირბოროტო პრობლემების სიმცირეს განიცდიდეს, იმას კი არავინ კითხულობს, მისმა შექმნამ ზიანის მეტი რა მოუტანა „რუსულ ორბიტაზე“ დაბრუნებულ ივერიას..

თქვე მამაცხონებულებო, ადრე თუ გვიან რომ ყველა, მით უმეტეს — ხელოვნურად შეკოწიწებული წარმონაქმნი დასაშლელადაა განწირული, ახალი ამბავია? თუ მაინცდამაინც პოლიტიკურ წიაღსვლას მივმართავთ, აგერ არა გვაქვს სულ ახალთახალი მაგალითი, დიდმა ბრიტანეთმა გაჭიანურებული „ბრექსიტით“ ევროკავშირის რღვევის შეუქცევად პროცესს რომ დაუდო სათავე? აღარაფერს ვამბობთ ძლევამოსილი იმპერიების ისტორიული კანონზომიერების გათვალისწინებით აუცილებელ აღსასრულზე, საუკუნეების განმავლობაში მარადიულად რომ მიაჩნდა კაცობრიობას.

არანაკლებ წონადია 3-პროცენტიანი საარჩევნო სუბიექტის ხარაკირის წმინდა პრაგმატული ფაქტორი: რა გასაკვირია მისი ვატერლოო მაშინ, როცა ნაციონალური მოძრაობა, ვის უმცროს ძმასა და დუბლიორსაც წარმოადგენს აღნიშნული პარტია, უკანასკნელ 8 წელიწადში რვაჯერ ჩაფლავდა „ქართულ ოცნებასთან“ უთანასწორო ბრძოლაში და ქრონოლოგიურად დამარცხებული რევანშისტების ბუდის სინონიმად იქცა.

გუნდურ კრახს, ბუნებრივია, ინდივიდუალური კრიზისი განაპირობებს. მართლაც, როცა ლიდერები პარლამენტს მიღმა დარჩებიან, სხვებს რაღა უნდა მოსთხოვო?

თუმცა, სიტყვა ლიდერი ამ შემთხვევაში პირობით ცნებად თუ გამოგვადგება, რადგან მათი ტრიო ტელეეთერებს ძველი კლიშეების დამსახურებით თუ შემორჩა, როცა 2012 წლამდე მაშინდელი სისხლიანი რეჟიმის კალთას შეფარებული უკვეთავდა მუსიკას და აღლუმსაც უძღვებოდა.

სხვათა შორის, ვითომ ერთმანეთთან დატაკებულ დასახელებულ სამეულს, ამა თუ იმ დოზით, ფინანსურ-კრიმინალური წარსულიც აერთიანებს, რომელიც, კაცმა არ იცის, როდის იქცევა თითოეული მათგანისთვის სამართლებრივი თვალსაზრისით მორიგ თავის ტკივილად. დიახ, ხელისუფლებას მარაგში პროკურატურის თაროზე დროებით რუსეთთან დანა-ჩანგლით ბრძოლისკენ მომწოდებელი ბაქრაძის ცოლოურის, უგულავას თბილისის მერობის დროინდელი და ბოკერიას ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნობის პერიოდის მილიონების გაფლანგვასთან დაკავშირებული საქმეები აქვს შემოდებული და პოლიტიკური ნების გამოჩენის, აგრეთვე პრინციპული დამოკიდებულების შემთხვევაში არც კანონის წინაშე მათი წარდგენა უნდა გაუჭირდეს.

მოგეხსენებათ, ამ მხრივ უგულავას, კოლეგებისა და ერთ დროს თანამებრძოლთაგან განსხვავებით, მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა და მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს სააკოვთან მისი გასაიდუმლოებული შესაძლო ვიზიტის „გაბაზრება“.

თუ სახელმწიფოსა და მისი დედაქალაქის ყოფილ მეთაურთა შეხვედრა მართლაც მოეწყო, ადვილი საფიქრებელია, როგორ სტრატეგიასა და ტაქტიკას დასახავდნენ ქვეყნის მასშტაბით საპროტესტო ტალღის კიდევ უფრო მაღალი ტემპერატურით ასაგორებლად. ჰოდა, კიდევ უფრო ვრწმუნდებით, რომ ყოფილი ნაცი არ არსებობს და იგი იდეურად ბოლომდე მოწამლულად და ანტიქართულად მოაზროვნედ რჩება, რომელი პოლიტიკური ძალის წევრადაც არ უნდა გვასაღებდეს თავს.

ახლა კი, მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ რღვევის ანატომია, რომელიც ზვიადისდროინდელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მოსკოვში უმაღლეს დიპლომატიურ განათლებამიღებულმა ნებიერა ქალიშვილმა, ოთხი შვილის დედა ელენე ხოშტარიამ დაიწყო. რომ იტყვიან, მას კარგი ფეხი ჰქონია ქვეყნისათვის და შემდეგ ესტაფეტა უკვე ზემოთხსენებულმა ტრიომ აიტაცა, მძიმე არტილერიის დაქუხების შემდეგ კი საშუალედო ფინიშის ხაზი თვით ქართვლის დედის მიმართ ბილწსიტყვაობით გამორჩეულმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გადაკვეთა.

ვინ იქნება შემდეგი?

ვიდრე მორიგი საკადრო წმენდის შესახებ შევიტყობთ რამეს, ცნობილი გახდა, რომ ევრონაცების მმართველი სტრუქტურა პარტიის ყრილობამდე (სავარაუდო თარიღს დაუკვირდით — ლგბტ პრაიდის დღე — 17 მაისი) ძველი შემადგენლობით გაუძღვება საქმეს, ხოლო შემდეგ პოსტზე მხოლოდ ბოკერია დარჩება.

და ბოლოს, უფროსი ძმის ახალმა თავმჯდომარემ მელიამ თხარა, თხარა და იმდენი გამოთხარა, რომ, დიდი ალბათობით, საკანონმდებლო ორგანოში გასამართავი კენჭისყრის შემდეგ, ცხრაკლიტულში შეაბიჯებს.

აბა, მიშაზე არანაკლებ ამბიციურ, გიუ „ვაუკაცს“ გირაოს თანხის მეორედ გადახდა როგორ ეკადრებოდა?

გია პლატონიშვილი

პატიმრებს შორის არავითარი დაპირისპირება არ მომხდარა!

№17 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებს შორის მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით განცხადებას სპეციალური პენიტენციური სამსახური ავრცელებს.

„სპეციალური პენიტენციური სამსახური ეხმიანება მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თითქოს №17 დაწესებულებაში პატიმრებს შორის დაპირისპირება მოხდა და სამი პატიმარია გარდაცვლილი.

ეს არის სრული სიცრუე და პენიტენციური სისტემის წინააღმდეგ მიზანმიმართული პროვოკაცია, ვინაიდან, როგორც ირკვევა, ერთ-ერთი პატიმრის ოჯახში დარეკეს და მიაწოდეს ინფორმაცია, თითქოს მათი პატიმარი გარდაიცვალა. ეს არის მიზანმიმართული კამპანია პენიტენციური სისტემის წინააღმდეგ, რასაც აუცილებლად მოჰყვება სამართლებრივი რეაგირება შესაბამისი უწყებების მხრიდან, პენიტენციური სამსახური კი მიმართავს პატიმრების ოჯახებს, არ აჰყვნენ პანიკას და არ ენდონ გადაუმოწმებელ ინფორმაციას“!

სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა 100 000-ით გაიზარდა

2020 წლის სიღარიბის სტატისტიკა ჯერ არ გამოქვეყნებულა, თუმცა ცნობილია სოციალური დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა, რომელიც ერთ წელიწადში რეკორდულად — 100 000-ით გაიზარდა და 532 000-ს მიაღწია.

მიმდინარე წლის იანვრის მდგომარეობით სოციალურ დახმარებას მოსახლეობის 14.39% — ყოველი მეშვიდე ადამიანი იღებდა. კიდევ ერთი ამდენი დახმარების მიმღებთა რიგებში დგას.

სიღარიბის ზრდაზე პირდაპირი გავლენა კოვიდრეგულაციებმა იქონია. 2020 წელს ეკონომიკა 6.1%-ით შემცირდა, რაც ყველაზე ცუდი მაჩვენებელია 1994 წლის შემდეგ.

პირველი ლოკდაუნის დროს 200-ლარიანი კომპენსაციით 162 000-მა ადამიანმა ისარგებლა, მათგან 70 000-ზე მეტმა დახმარება 6-ჯერ აიღო, ანუ მათ ვეღარც ძველ სამსახურში აღიდგინეს თავი და ვეღარც სხვაგან დასაქმდნენ. გარდა ამისა, ერთჯერადი 300-ლარიანი დახმარება 249 000 პირს ჩაერიცხა. მეორე ლოკდაუნის გამო უმუშევართა კომპენსაცია ამ დრომდე გრძელდება.

2021 წლის ბიუჯეტი არარეალისტურ 4.3%-იან ზრდაზეა აგებული. ეროვნული ბანკის პესიმისტური პროგნოზით, იმ შემთხვევაში, თუ ტურიზმი არ აღდგა, ზრდის ტემპი მხოლოდ 1% იქნება. ჯერჯერობით ზამთრის კურორტებიც დაკეტილია და ტურიზმის აღდგენის ნიშნები საერთოდ არ ჩანს.

მოსალოდნელია, რომ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის შემცირებამ ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს და გაყიდვები აკრძალვების გაუქმების შემდეგაც შემცირდეს, რაც თავის მხრივ ახლო მომავალში დასაქმებულთა რაოდენობის და მათი ხელფასების შემცირების მიზეზი გახდება.

ჯერ კიდევ პანდემიამდელ პერიოდში დღიურად 2 ლარზე ნაკლებს 133 000 ადამიანი მოიხმარდა. უცნობია რამდენით გაიზარდა ეს რიცხვი 2020 წელს, თუმცა ფაქტია, რომ გაიზარდა. მსოფლიო ბანკის ოქტომბრის პროგნოზით სიღარიბის ზღვარს მიღმა (სიღარიბის და არა სიღატაკის) მყოფ პირთა რაოდენობა 160 000-ით უნდა გაზრდილიყო, შემოსავალი კი ჯამში 400 000 ადამიანს შემცირებოდა. იგივე კვლევა საქართველოში ეკონომიკის 6%-იან ვარდნას ვარაუდობდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეკონომიკა რეალურად 6.1%-ით შემცირდა, რაც პროგნოზირებულ მაჩვენებელთან საკმაოდ ახლოსაა, მაშინ სიღარიბის ზრდის პროგნოზიც რეალური უნდა იყოს.

მსოფლიო ბანკის გლობალური კვლევის მიხედვით, პანდემიის მიზეზით დაწესებული კოვიდრეგულაციების შედეგად **სიღატაკეში მცხოვრებ პირთა რაოდენობა პლანეტის მასშტაბით 150 მლნ-ით გაიზრდება**. ეს უფრო დიდი რიცხვია, ვიდრე ცალკე აღებული რუსეთის ან იაპონიის მოსახლეობა, უფრო დიდი, ვიდრე საფრანგეთისა და ბრიტანეთის მოსახლეობა ერთად...

რეგულაციების საჭიროების შესახებ, როგორც მორალური, ასევე პრაგმატული კუთხით კამათი დღემდე გრძელდება. მომხრეთა არგუმენტით მთავარი ადამიანის სიცოცხლეა და არა ეკონომიკა. მოწინააღმდეგეები ადამიანის სიცოცხლის უფლებას ეჭვქვეშ არ აყენებენ, თუმცა ოპონენტებს ახსენებენ, რომ შიმშილით და არასრულფასოვანი კვებით ყოველწლიურად 8 მლნ ადამიანი იღუპება, 4-ჯერ მეტი ვიდრე კოვიდით. მათი დამატებითი არგუმენტი თავისუფლების ფუნდამენტური, უფლებაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საგანგებო მდგომარეობის გარეშე კომენდანტის საათის გამოცხადება დასაშვებად ცნო, გერმანიაში ბადენ-ვიურტემბერგის მხარის სასამართლომ კი — არალეგალურად.



2020 წლის რეცესიის შეფასებისას, ახალი ეკონომიკური სკოლის პრეზიდენტმა პაატა შეშელიძემ Commersant-ს განაცხადა, რომ **კოვიდრეგულაციების 99% უსარგებლო იყო და მათ გარეშე ეკონომიკური ზრდა დადებითი იქნებოდა.**

გიორგი ელიზბარაშვილი

მთაწმინდიდან დანახული სიმაღლე

ჩვენი სამეცნიერო საზოგადოების არაერთ გამორჩეულ წარმომადგენელს შეხვდებოდით 11 თებერვალს საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში – ქვეყნის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავად, მისმა ხელმძღვანელობამ აკადემოკოს გიორგი კვესიტაძის თავკაცობით, ყვავილებით შეამკო აკადემიის პირველი პრეზიდენტის, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის და მისი მეორე პრეზიდენტის, აკადემიკოს ილია ვეკუას საფლავები.

ქვეყნის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 1941 წელს დაფუძნდა: 10 თებერვალს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბილკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი კიკნაძემ ხელი მოაწერა შესაბამის დადგენილებას.

„ახალშობილის აკვანი“ იმ დროის თექვსმეტმა ჩვენმა წამყვანმა მეცნიერმა „დაარწია“, რომლებმაც შემდგომ მთელი მიმდინარეობები შექმნეს თავიანთ სამოღვაწეო სფეროებში და საქვეყნოდ გაუთქვა სახელი საქართველოს მეცნიერებას.

ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებთან ერთად, ნიკოლოზ მუსხელიშვილისა და ილია ვეკუას ხსოვნას პატივი მიაგეს საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა, სხვა სახელოვანმა პირებმა.

– საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ხელმძღვანელობა ასეთი გახლდათ: პრეზიდენტად აირჩიეს **ნიკოლოზ მუსხელიშვილი,** ვიცე-პრეზიდენტად – **სიმონ ჯანაშია,** აკადემიკოს-მდივნად კი **გიორგი ახვლედიანი,** – თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა.** – აკადემიის შექმნამ ის მეტად მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა, რომ მთელმა სამეცნიერო სკოლამ, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის ოციან წლებში ჩაეყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მის საფარქვეშ გადმოინაცვლა, რასაც ცალკეულ მიმართულებებში სათანადო კვლევების საგრძნობი გაძლიერება მოჰყვა. ამის მთავარი მამოძრავებელი ძალა კი მრავალი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა გახდა. მათ შორის არაერთი ათეული საქვეყნოდ ცნობილი სამეცნიერო ცენტრის დასახელება შეიძლება, სადაც შექმნილმა დარგობრივმა სკოლებმა და იქ მოღვაწე სპეციალისტთა ნაშრომებმა მსოფლიოში სახელი გაუთქვეს სამამულო მეცნიერებას, ქართველ სწავლულებს. უაღრესად შთამბეჭდავია მეცნიერების სფეროებისა და იქ მოღვაწე უდიდესი მეცნიერების ნუსხა: მათემატიკის, ფიზიკის, ასტრონომიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, ასევე საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ორიენტალისტიკის დარგებში ისეთი კორიფეები მოღვაწეობდნენ, როგორებიც იყვნენ ნიკო მუსხელიშვილი, ანდრია რაზმაძე, ელეფთერ ანდრონიკაშვილი, არჩილ და ევგენი ხარაძეები, ალექსანდრე ჯანელიძე, დიმიტრი უზნაძე, ივანე ბერიტაშვილი, გრიგოლ და გიორგი წერეთლები, სხვანი.

მერე და მერე კი სამეცნიერო კვლევების სპექტრი თანდათანობით გამრავალფეროვნდა, შემოვიდა სოფლის მეურნეობისა და ტექნიკური დარგები, მათ მოჰყვა შესაბამისი ტექნოლოგიები. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის, როგორ აგრარული, თანაც ინდუსტრიულად განვითარების გზაზე მდგარი რესპუბლიკისთვის.

– ყოველივე ამ და კიდევ უამრავ სხვა სფეროში სამეცნიერო გარღვევების სულისჩამდგმელი და მესაჭე სწორედ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნლუი აკადემია იყო და, რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ სადღეისოდ იმის საშუალებას მოკლებული ვართ, რათა მისი დაარსებიდან 80 წლისთავი საზეიმოდ აღვნიშნოთ, ვინაიდან, მოგეხსენებათ, კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული, – თქვა დასასრულს ბატონმა როინ მეტრეველმა. – თუმცა კი ისიცაა, რომ აკადემიის იუბილეს ღირსეულად აღნიშვნაზე ხელი მაინც არ აგვიღია და, თუკი საიმისოდ ხელი არაფერმა შეგვიშალა, დიდი სურვილი გვაქვს შემოდგომაზე მაინც ჩავატაროთ სათანადო მასშტაბის შესაფერისი ღონისძიება.

ოთარ ტურაბელიძე

ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

თამაზ გამყრელიძე

გულწრფელ სინანულს გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს

გამოთხოვება უფროს მეგობართან

ჩემმა ძვირფასმა ქართველმა კოლეგებმა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიიდან, ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებმა მეტად სამწუხარო ამბავი შემატყობინეს: თბილისში გარდაიცვალა აკადემიკოსი **თამაზ გამყრელიძე**.

აუტანლად ძნელია იმ აზრის შეგუება, რომ არაჩვეულებრივი მოქალაქე, ბრწყინვალე მეცნიერი და პედაგოგი თამაზ გამყრელიძე წავიდა ამქვეყნიდან.. ხალხში თქმა იციან – შეუცვლელი ამქვეყნად არავინაარ, მაგრამ, მერწმუნეთ, მაინც არიან ასეთი ადამიანები, და ამის დასტურია ჩემი ძვირფასი კოლეგა და დაუვიწყარი უფროსი მეგობარი, ქართველი სამეცნიერო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი თამაზ გამყრელიძე.

ყველაზე ახალგაზრდა და მორიდებული მონაწილე გახლდით საბჭოთა სამეცნიერო დელეგაციისა, რომელმაც 1979 წლის 6-9 ივნისს იტალიაში კავკასიის ისტორიისა და კულტურის საკითხებზე გამართული პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში მივიღე მონაწილეობა. დიდმა მეცნიერმა და გულისხმიერმა კაცმა თამაზ გამყრელიძემ ყურადღება მიაქცია ჩემ შებოჭილობას და სითბო და ზრუნვა არ მომაკლო. იმ, აწ უკვე შორეული დროიდან მოყოლებული და ორმოცწელზე მეტი ხნის მანძილზე, ჩვენ გამუდმებით გვაკავშირებდა მეგობრული და კოლეგიალური დამოკიდებულება.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ თბილისში ყოფნისას მე ჩემი სულისა და გულისათვის უძვირფასესი მოქალაქე, მეცნიერი და პედაგოგი თამაზ გამყრელიძე არ მომენახულებინა როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის დიდებულ, ასევე აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მორიდებულ კაბინეტებში.

ეჭვშეუტანელი და ურყევი არის აბსოლუტური ჭეშმარიტება: აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე საქართველოსა და რუსეთის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება გამოჩენილ მეცნიერ-ლინგვისტად, ინდოევრპეისტად და აღმოსავლეთმცოდნედ, რომელმაც უდიდესი სამეცნიერო წვლილი შეიტანა მსოფლიო ჰუმანიტარულ და კომპლექსურ მეცნიერებაში.

ეჭვი არ არის, რომ ამიერიდან და სამარადჟამოდ, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე მოწინავე, ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ძველი სამყაროსა და შუა საუკუნეების შემსწავლელ გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა – ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, გ. მელიქიშვილის, სხვათა, ასევე ლინგვისტების ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, გ. წერეთლის, ა. ჩიქობავას და სხვათა შორის. სახელოვან წინამორბედთა დარად, თამაზ გამყრელიძე ასევეა საქვეყნოდ ცნობილი ლინგვისტური ორიენტალისტიკის სკოლის ფუძემდებელი.



მინდა, გამოვთქვა ჩემი ღრმა წუხილი ძვირფასი, დაუვიწყარი მეგობრის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის გარდაცვალების გამო და სამძიმრის სიტყვები ვუთხრა მის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს, მთელ ქართველ ხალხს.

ვლადიმერ ბესოლოვი,

არქიტექტურისმცოდნე-ორიენტალისტი (ირანისტი, კავკასიამცოდნე) და ბიზანტინოლოგი, რუსეთის საპატიო არქიტექტორი, პროფესორი.

ჩრდილოეთ ოსეთის, – ალანიის რესპუბლიკა, ქ. ვლადიკავკაზი.

დიდი შვილი საქართველოსი

პატივცემულო ბატონო თამაზ!

ამ დილით გავიგე თქვენი გარდაცვალების ამბავი და მთელი დღე სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობ. თქვენს მაღალ პიროვნებას არ ეკადრება ყოფით წვრილმანებზე შეჩერება, მაგრამ ჩემდაუნებურად მიცოცხლდება თვალწინ თქვენთან ყოველი შეხვედრა, თქვენ მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, ადამიანური სითბო, რომელსაც ასე დაუშურვებლად იჩენდით პირადად ჩემსა და ჩემი ოჯახის მიმართ, და არა იმიტომ, რომ თქვენი ქალიშვილი, ეკა და მე თანაკურსელები ვიყავით.

ისე მექცეოდით, თითქოს, თქვენი სწორი ვყოფილიყავი. მახსენდება თქვენთან შეხვედრა ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკაში 1995 წელს. მაშინ სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას ვამთავრებდი და საუბარში გიხსენეთ ძველბერძნულ-ძველქართული გლოსარიუმი, რომელსაც ჩემთვის ვამზადებდი. ისე დაინტერესდით, თითქოს, თქვენი სამეცნიერო ყურადღების ღირსი ყოფილიყო. ბრძანეთ, როცა მზად გექნება, წარმოგვიდგინეთ და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შრომებში დაგიბეჭდავთო.

მსოფლიო იცნობს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს, ხოლო მე წილად მხვდა ბედნიერება, ახლოს მგულებოდა დიდი ადამიანი – თამაზ გამყრელიძე.

საკადრისად ვერ გიპატრონათ, ბატონო თამაზ, თქვენმა სამშობლომ. ქვეყანა, რომლის დედაქალაქის მთავარ მოედანს თავისუფლების მოედნის სახელი დაარქვეს, თავისუფლებისა და სამართლიანობის კარიკატურად აქციეს მავანმა და მავანმა ვიგინდარებმა, რომელთაც, ვინ იცის, რა მანქანებით ჩაუვარდათ ხელში ქვეყნის ბედი. ეს ვერ აიტანეთ და მწვავე პუბლიცისტური წერილებით სადარაჯოზე დაუდექით საქართველოში გერად ქცეულ მეცნიერებასა და კულტურას. მარტო თბილისის უნივერსიტეტის ლომაიასეული რეფორმების ივანე ჯავახიშვილის მესამე სიკვდილად გამოცხადება რად ღირს?!

საკადრისად ვერ გიპატრონათ თქვენმა ქვეყანამ, მაგრამ წუთითაც არ გიფიქრიათ თქვენი სამშობლოს სალი კლდეების უკდავებისა ხეზე გაცვლა. არ მიიღეთ ამერიკული უნივერსიტეტის მოწვევა, მათთან სამუშაოდ გადასულიყავით XX საუკუნის ავადსახსენებელ 90-იან წლებში.

დიდი იყო აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ყოფილა მამულიშვილი და მოქალაქე თამაზ გამყრელიძე!

ერთმა ჩემმა მეგობარმა, საუცხოო ქართველმა ისტორიკოსმა დღეს დილით მომწერა, ტიტანები გვტოვებენო. დიახ, გვტოვებენ და მათთან ერთად იმედიც გვტოვებს, იმედი, რომ ახალ საქართველოში დარჩება ვინმე, ვისაც ჩვენი სამშობლოს არაკეთილმოსურნისათვის დასაბუთებული, საკადრისი პასუხის გაცემა შეეძლება ქვეყნისათვის პრიორიტეტულ მეცნიერებებშიც კი.

ზეციური საქართველოდან იფიქრეთ ჩვენზე, ჩვენო საყვარელო ბატონო თამაზ! თქვენ ერთ-ერთი უკანასკნელი დიდი შვილი ხართ დიდი საქართველოსი.

გაგა შურღაია,

საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტ „ლ'ორიენტალეს“ პროფესორი

11 თებერალი, 2021 წ.

ᲣᲤᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲠᲐ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ, ᲗᲝᲠᲔᲛ?!..

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲚᲔ�გᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲔᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲚᲔ�გᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲔᲜ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲯᲬᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲢᲘᲙᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲰᲣᲑᲔᲠᲢ ᲫᲜᲘᲠᲨᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲮᲡᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ.

ᲯᲬᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲚᲔ�გᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲔᲫᲚᲔᲑᲐᲗ.

„ᲡᲔᲖᲝᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ �პᲘᲠᲕᲔᲚᲘ Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ. ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ �გᲐᲕᲚᲐ ᲙᲘ 15 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲓᲐᲜᲐᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲣᲠ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲖᲔᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ �პᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲞᲝᲠᲢᲐᲚᲖᲔ http://workabroad.gov.ge ᲒᲐᲓᲘᲡ.

ᲡᲔᲖᲝᲜᲣᲠ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ:

- **უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;**
- **ასაკი: 18 წლიდან 60 წლამდე;**
- **გერმანიაში გამგზავრებამდე 3 თვით ადრე პერიოდში არ უმოგზაურია შენგენის სივრცეში;**
- **ფიზიკური ჯანმრთელობა;**
- **მოსავლის აღების სამუშაო გამოცდილება და მოტივაცია;**
- **ნებისმიერი მიზეზის (დარღვევის) არარსებობა, რაც იწვევს ქვეყანაში ხელახლა შესვლის შეზღუდვას;**
- **გერმანული ან ინგლისური ენის ელემენტარულ საკომუნიკაციო დონეზე ცოდნა (ჯგუფურად დასაქმების შემთხვევაში, აუცილებელია, მინიმუმ ერთ წევრს უნდა შეეძლოს გერმანულ ან ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია). ენის ცოდნის მოთხოვნას განსაზღვრავს დამსაქმებელი;**

ᲯᲬᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲡᲔᲖᲝᲜᲣᲠ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ. **ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲣᲠ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲖᲔᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ.**

ᲯᲬᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲡᲔᲖᲝᲜᲣᲠ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ.

ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ:

- **ᲔᲠᲗᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛ ᲗᲕᲔᲛᲓᲔ;**

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲠᲝ

- **ᲮᲣᲗᲘ-ᲔᲥᲕᲡᲘ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ; ᲠᲕᲐ-ᲐᲗᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲓᲦᲔᲨᲘ.**

ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ

- 9.50 Ე�ვᲠᲝ ᲡᲐᲐᲗᲨᲘ (ᲓᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ),

რომელსაც გამოაკლდება გადასახადები, კვებისა და საცხოვრებლის ხარჯები.

„რეგისტრაციის შემდეგ, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლები, კონკრეტული ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, უკავშირდებიან დასაქმების მსურველებს. სერვისცენტრში მისვლისას მსურველს თან უნდა ჰქონდეს პირადობის ელექტრონული მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტი.

კონკრეტულ ვაკანსიაზე დასაქმების მსურველთა შესახებ მონაცემები მიეწოდება გერმანელ დამსაქმებელს. დასაქმებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გერმანელი დამსაქმებელი. გადაწყვეტილება ეცნობება თითოეულ მსურველს. გერმანელი დამსაქმებლის მხრიდან დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დამსაქმებელი მუშაობის დაწყების მსურველს უგზავნის შრომით ხელშეკრულებას, რომელიც მხარეებს შორის გაფორმდება გერმანიაში გამგზავრებამდე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოსა და გერმანიის ფედერალური დასაქმების სააგენტოს — (BA) შორის 2020 წლის 17 იანვარს, დაიდო შეთანხმება „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ“, რითაც შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი გერმანიაში საქართველოს მოქალაქეების ლეგალური დასაქმებისთვის. შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია გერმანიის შრომის ბაზარზე საქართველოს მოქალაქეების დროებითი ლეგალური დასაქმება შრომითი და სოციალური უფლებების დაცვით“, — აცხადებენ ჯანდაცვის უწყებაში.

მისივე ცნობით, სამუშაოს მაძიებლისთვის დასაქმებასთან დაკავშირებული მომსახურება სრულიად უფასოა.

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲡ ᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ

ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲗᲐ, ეკონიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორმა ბესარიონ სიმონიშვილმა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელმა საქართველოში კემლინ ფურლიმ მეწარმე დევნილებს საქმიანობის გაფართოების მიზნით ტექნიკა და დანადგარები გადასცეს.

პროექტის მთავარ მიზანს, იძულებით გადაადგილებული პირების სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერასთან ერთად, საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირების დასაქმებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენს.

სააგენტოსა და UNHCR-ს შორის გაფორმებული პარტნიორობის ხელშეკრულების თანახმად, 15-მა მეწარმე დევნილმა, ჯამში, 110 000 ლარის ღირებულების დანადგარები და აღჭურვილობა მიიღო. დევნილებმა საკუთარ საწარმოებში ლტოლვილის სტატუსის ან მოქალაქეობის არმქონე პირები დაასაქმეს. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლის კემლინ ფურლის განცხადებით, საქართველომ შექმნა და მართავს თავშესაფრის სისტემას ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ᲣᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲝ ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲘ: 200-ᲘᲐᲜᲘ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ“



ᲔᲜᲔᲠ�გᲝᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚ �გᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ (ᲛᲐᲠᲢ-Ა�პᲠᲘᲚ-ᲛᲐᲘᲡᲨᲘ) ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲣᲛᲔᲢᲔᲡ 200 �კᲣᲑᲣᲠᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ �გᲐᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ 100 ᲙᲘᲚᲝᲕᲐᲢᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲐᲑᲝᲜᲔᲜᲢᲘᲡ (Ი�გᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲗ — ᲝᲯᲐᲮᲘᲡ!) — ᲮᲐᲠᲯᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲓᲐ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲘ �გᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ �გᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ. ᲡᲥᲔᲛᲐ ᲣᲛᲐᲠᲢᲘᲕᲔᲡᲘ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ: ᲗᲣᲙᲘ ᲐᲑᲝᲜᲔᲜᲢᲘ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲨᲘ 200 ᲙᲘᲚᲝᲕᲐᲢ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲐᲕᲓᲐ, ᲐᲠᲪ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲓᲘᲓᲐ, ᲐᲠᲪ ᲬᲧᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲒᲕᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲡ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲗᲣᲙᲘ ᲐᲛ ᲠᲣᲑᲘᲙᲝᲜᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲪᲘᲚᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲝᲗᲮᲘᲕᲔ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲜᲐ(?!).

იმის გამო, რომ ზაფხულში ვერაგულად თითქოსდა „მიძინებულმა“ პანდემიამ შემოდგომაზე „იფეთქა“ მოსახლეობისთვის სოციალური შეღავათების გაწევის პრაქტიკის გაგრძელება მთავრობამ კვლავაც გადაწყვიტა, ოღონდ ამ ჯერზე შეღავათების დრომ მოიმატა და ყველაზე ცივი პერიოდი — ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი და თებერვალი — მოიცვა. გასული გაზაფხულის შეღავათების მსგავსად, 2020-2021 შემოდგომა-ზამთრის საშეღავათო „აკორდიც“ ისეთივე „ულერადობითა“ და „ტონალობით“ იქნა აღებული, ანუ პირობები იგივე დარჩა: **ვინც დადგენილზე ნაკლებ ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზს მოიხმარს, იმას „ფოჩიანი კანფეტი“ შეხვდება, ანუ ამ პირობის შემსრულებელი თვეში კომუნალურ გადასახედებს არ გადაიხდის.**

დიდი მადლობა პარტიას, უფრო სწორად კი მთავრობას ამისთვის, თუმცა დიდი მოწიწებით მაინც გვინდა ერთ, ჩვენი აზრით, არცთუ უმნიშვნელო გარემოებაზე გავამახვილო ხელისუფალთა ყურადღება. **თუკი უკიდურესი მომჭირნეობით დადგენილი სოციალური შეღავათის პირობების დაცვა მოსახლეობის ყველაზე დუხჭირ ფენას, შარშან, გაზაფხულზე, მართალია ვაი-ვაგლახით, მაგრამ ასე თუ ისე მაინც შეეძლო, მერე შემოდგომის მიწურულს (ნოემბერში) და, მით უმეტეს, ზამთარში მეტი სიცივის გამო! — ამის გაკეთება ბევრად უფრო გაჭირდა. უფრო სწორად — თითქმის შეუძლებელი გახდა. გაზაფხულის უამრავი „შეღავათნაპატიები“ აბონენტი ზამთარში სოციალურად სრულიად დაუცველი დარჩა — არც სამსახური, არც სოციალური შეღავათი... ამან კი, ცხადია, მთავრობის ამ საჩუქარს, ცოტა არ იყოს, მძაღე გემო გაუჩინა.**

არც პირზე დუჟმომდგარი ოპოზიცია შეუწუხებია ამ საკითხს — მათი მთავარი საქმე ხომ ჯერ „მტერთან“ ბრძოლა, მერე კი ერთმანეთის დაკორტნაა, ვის სტკივა ხალხის დარდი, რომლის გაბედნიერებას ასევე ძალა-ძალაზე იჩემებს უკლებლივ ყველა პარტიის „გენერალი“...

კიდევ ერთი გარემოება, და, ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ აღნიშნული „200“-იანი ზღურბლი მოხმარებულ ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე ყველა აბონენტისთვის საკონცენტრაციო ბანაკის ძაბვის ქვეშ მყოფი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნის ეკლიანი მავთულხლართივით შეუვალი გახდა: ამ პროგრამაში მოქცეული ოჯახები ყოველთვიურად დაახლოებით 300 ლარის დაზოგვას ახერხებდნენ, რაც მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისთვის მეტად მნიშვნელოვანი შეღავათია. მაგრამ ვინც ამ ჩარჩოს გარეთ გადის, და თუნდაც ერთი კილოვატით ანუ კუბომეტრით მეტს ხარჯავს, ის საოჯახო ბიუჯეტისთვის ამ ფულს ვერ ზოგავს(?!)..

არადა, როცა ამ ნამდვილად საჭირო ღონისძიებას გეგმავდა, მთავრობას, უფრო სწორად, მის სტრუქტურაზე მომუშავე უწყებებს, ხომ შეეძლოთ „მადლისათვის მარილიც მოეყარათ“ და რაიმე ბუფერული პირობა შემოეტანათ, იმ ჯალათური „წითელი 200-იან“ ზოლამდე? თუნდაც, ვთქვათ, ისეთი პირობა, რომლის მიხედვითაც, დადგენილ 200-იან ზღვარს იქით თუნდაც 50-იანი „გამაფრთხილებელი ზონა“ შეექმნა, რომლის ფარგლებში „დამნაშავე“ აბონენტი დადგენილი ზღუდის ზევით დახარჯული ენერგოშემცველის საფასურს გადაიხდიდა. ვთქვათ, დაჯარიმების კოეფიციენტით, მაგრამ წყლისა და ნაგვის გატანის გადასახადზე შეღავათი შეუნარჩუნდებოდა... თუკი ამ საზღვრებში ვერ მოახერხებდა „ჩატევას“, მაშინ კი დანახარჯი სრულად დაეფარა.

იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც ინფექციონისტები და ეპიდემიოლოგები, ერთი სიტყვით, საქმეში ჩახედული პროფესიონალები აცხადებენ, მსოფლიო მასშტაბით დაწყებული საყოველთაო ვაქცინაციის მიუხედავად, კოვიდ-19 (და, როგორც შიშობენ, სხვა ახალი ვირუსებიც!) საზოგადოებაში კიდევ კარგა ხანს იქნება და მისი ფარული კერების გაჩენა გამორიცხული სულაც არ არის, პანდემია, ახლო მომავალში შესაძლოა გარკვეული კერების ეპიდემიებით შეიცვალოს, რაც ასევე არ გამორიცხავს გარკვეული შეზღუდვების დაწესებას, ოღონდ უკვე ლოკალური მასშტაბით. ეს კი იმ ადგილებში მოსახლეობას იმავე პირობებში ჩააყენებს, როგორებიც გასულ გაზაფხულზე და შემოდგომა-ზამთარში იყო. იმის გამო, რომ საერთო სურათი სავარაუდოდ შეიძლება განმეორდეს, გარკვეული მოსაზრებებიც ზემოთ სწორედ ამის გამო მოგახსენეთ.

ჩვენს შემოთავაზებას, ცხადია, „საბოლოოდ ჭეშმარიტების“ არანაირი პრეტენზია არა აქვს, საყურადღებოდ მიჩნევის შემთხვევაში კი მისი ჩარჩოებისა და პირობების ზუსტი განსაზღვრა უკვე პროფესიონალთა საქმეა და ჩვენი ნამეტნავად წონადაკარგული ბიუჯეტის ჯანზეა დამოკიდებული.

თანაც ურიგო არ იქნება, თუკი ამის თაობაზე გონებადამჯდარ აზრს კომპეტენტურ (და არა მავანთა ჯიბის!) არასამთავრობო ორგანიზაციების სპეციალისტებსაც ჰკითხავენ.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

მე - ადამიანი!

მე ვარ ადამ და ევას კლასტერიდან,
მე ერთხელ ევამ იარაღი ამყარა,
მაშინ, როცა ჯვარს ვაცვი იესო ქრისტე,
ქრისტე, რომელმაც შეცვალა სამყარო.

მე ვარ ქანდაკება მიქელანჯელო,
მე ვარ რუსთაველი და პოეზია,
ღმერთის მეტი არავისი არ მჯერა,
პოეზია რუსთველის დონეზეა.

მე ავანთე ალექსანდრიის შუქურა,
სახელი გამითქვა პიზას პირამიდამ,
ჩრდილივით დამყვება უგნურთა მუქარა,
ზოგი – პირდაპირ და ზოგი – ირიბად.

მე აღმოვაჩინე ბეტელჰეიზი,
მთვარე და დედამიწა მე ავწონე,
გადავსერე წყნარი ოკეანის აუზი,
რათა კლეოპატრას თავი მოვაწონო.

„ჩაკრულო“ მე ავიტანე მთვარეზე,
და ფარდობითობა საოცარი,
მე აღმოვაჩინე, რაც მთავარია,
მე დავწერე „ვეფხისტყაოსანი“.

მოფრინავს ფანტელი, თეთრი პეპელა,–
ქსენიების ცეკვა, ფერიების არული,
მე დავასრულე სტიქსის კაპელა
და ვიგრძენ სიმშვიდე კათედრალური.

მე შევიძინე ელისეევის ლუსტრა,
რომელსაც ასხია ათასი ნათურა,
ვეცადე, მაგრამ დროს ვერ გავუსწარ,
რადგან ვხნავდი და ვთესავდი ქართულად.

ბათუმში დელფინებს ავუშენე სახლი,
დელფინარიუმს ეძახის ცირა,
მაგრამ არ ვიცი, რას ვიზამ ახლა,
სხეულში მამტვრევს, მზარავს და მცივა.

ვესაუბრები ჩემს ჭკვიან დელფინებს,
ჭკვიანებს, კეთილებს და სპორტულებს,
ჩემს დაძახილზე ისე გამოეფინნენ,
რომ მათ მხარეზეა ფორტუნა!

ლუვრში მოვიპარე მონა ლიზა –
ჯოკონდა,
მარიამ მაგდალინელს ვუყურებ ახლა,
ადრე ერმიტაჟის საშვი მეც მქონდა,
მაგრამ ФСБ-სთან ვერაფერს გახვალ.

ადრე მეც ვიყავი ლამაზი და ნორჩი,
მერე და მერე გავხდი მენეჯერი,
ადამიანი ზოგჯერ იბადება ორჯერ,
მე ეს საკუთარ დროსთან შევაჯერე.

„გლობუსში“ მე დავდგი შექსპირის პიესა,
სადაც არა ვარ, იქაც მხედავენ,
მე ვარ ადამიანი – ჰომო საპიენსი,
მე ვარ იესოს თეთრი მხედარი.

და თუ ამაოა ყოველი გარჯა,
მეც მალე მოვკვდები უღვინოდ და უპუროდ,
და თუ ამაშიც ვერ დაგაჯერე,
ჯობია, დავდგეთ და ფანტელებს ვუყუროთ!

იესო

ჩემი დაბადება არაფერს არ ნიშნავს,
მე ვარ ბროწეულის ერთი მარცვალი,
დაბადება ის მითხარ, ქრისტე რომ იშვა,
რომელმაც მთელი სამყარო შეცვალა.

იესომ იტვირთა ჩემი ცოდვები,
მისი ჯვარცმა იყო სატანის რისხვა,
სადაც წავალ და მივდგებ-მოვდგები,
თავს შემახსენებს იესოს სისხლი.

ცხოვრება გახდა ძნელად სამართავი,
სუყველგან ავი ქარები ქრიან,
მწვანე პლანეტაზე ერთია სამართალი
და ამ სამართალს იესო ჰქვია.

იესომ თქვა და ხალხმა ინება,
ყოველთვის გიყვარდეს მოყვასი შენი,
სამყარო განაცვიფრა მისმა მოთმინებამ,
რომელსაც ჯვარცმულის სახელი შვენის.

სიყვარული ვაკურთხოთ ქრისტესმიერი,
სამყარო იესოს შობას უცდიდა,
ამ ქვეყანაზე იესოზე ძლიერი,
ჯერ არ შობილა დედის მუცლიდან.

ბეთლემში დაიბადა იესო-ბავშვი,
ბეთლემი ერთია, ზოგს ორი ჰგონია,
ქრისტესშობას – ჩემი ვაშა და ტაში,
ქრისტესშობას – ჩვენი სუნთქვა და გლორია.

ჩემი წილი მადლობა **Ave Maria**,
ვინ არ ინატრებს მშობელს შენისთანას,
ყველა ქრისტიანი შენი ნათესავია,
ნათესავი და მონათლული თანაც.

იესოს ჩასახვა იყო უბიწო,
ჩრდილივით დასდევდა ზაკვა და შური,
იგი ცხოვრობდა უბიწოდ და უმიწოდ,
მისი საზრდო იყო წყალი და პური.

დღეს ყველა საყდარი მისი სახლია,
მისია ყველა მსხმოიარე ვაზი,
ვერსად ვერ შეხვდები იესოსსახიანს,
იესოს სახეზე ასკები აზის.

ყველაზე მწირია იესოს ტრაპეზი,
ბედისწერამ იგი მეც კი მარგუნა,
იესომ დათრგუნა სიკვდილის კაპრიზი,
იესომ სიკვდილით სიკვდილი დათრგუნა.

მეც ვარ იესოს თეთრი მხედარი,
მე ჩემში დავთრგუნე სიკვდილის შიში,
მე ახლა იესოს საყდარში მხედავენ,
მე, ვინაც ქრისტეს ნათელში ვიშვი.

ვერ გაგვაწარმართა დროებამ მკაცრმა,
თავისი სხეული ჯვარცმისთვის მისცა,
იესოს არ სჭირდება პირადი დაცვა,
იესო ყველა სენისაგან გვიცავს.

დროებამ წაიღო წითელი დემარში,
მეორე იესო აღარ დაიბადება,
დიდი პლანეტაა მზის სისტემაში,
ჩვენ ვართ წვრილ-წვრილი
ასტეროიდები.

ჩემი დაბადება არაფერს არ ნიშნავს,
მე ვარ ბროწეულის ერთი მარცვალი,
დაბადება ის იყო, ქრისტე რომ იშვა,
რომელმაც მთელი სამყარო შეცვალა.

ცოცხლები და მკვდრები

ეს არი მარში, მენდელსონის მარში,
ეს ხელებია, დიურერის „ხელები“,
მე ჩემი ბავშვობა გავატარე მთაში,
ოქროსფაფრიანი ალური ცხენებით.

მაგრამ ქალაქმა მეც დამასხა რეტი,
არბატმა ჩამითრია თავის ორომტრიალში,
ჩემი სოლოლაკია არბატზე მეტი,
არბატზე მეტია ვიტრაჟების ტირაჟი.

არ ვიცი, სად არი სამყაროს ჭიპი,
ერთმანეთს ეგრძვიან ცოცხლები და
მკვდრები,
ევროპელი მწერლები დაფრინავენ
ჯიპებით,
ქართველი პოეტები ვილევით და ვქრებით.

ნეტავი მე ვიყო მოჭადრაკე ტალი,
ფიშერს დავაშამათებ, რაა დასამალი,
ცოცხლები თხრიან მიცვალებულ სტალინს,
მკვდარი სტალინი ცოცხლებს ასამარებს.

წარსულს ჩაბარდა ეპოქა გმირების,
„დინამო“ თბილისი ექვსით ერთს აგებს,
ვერც მე შევასრულე ჩემი დანაპირები,
სირცხვილი მთანგავს და მილურჯებს
ბაგეს.

კვლავ მხარში გვიდგანან ძვირფასი
მკვდრები,
ძვირფასები, ამაყები, მორცხვები...
მკვდრები, ჩვენი ძვირფასი მკვდრები!
ცოცხლები, ჩვენი ბედოვლათი ცოცხლები!

ძვირფასი მკვდრები პატრიოტებს კრებენ,
მაგრამ არა – პიგმეებს და ერზაცებს,
ცოცხლებს სურთ, მოთხარონ ძვირფასი
მკვდრები,
იციან, რომ მკვდარი პასუხს ვერ გასცემს.

კორონა გვიტევს სიცხითა და ხველებით,
გუშინ გავასვენეთ თორმეტი წლის ბავშვი,
ამიტომაც აღვმართე დიურესის „ხელები“,
ვეღარ ავაჟღერე მენდელსონის მარში.

კორონა ვირუსმა გაგვავლო მუსრი,
პანაშვიდების კარნავალს მართავს,
მე ქართველს მეძახის ყირიმელი რუსი,
თბილისელი ქართველი მეძახის თათარს.

მეორედ ჩავუჯექი ანა ფრანკის დღიურებს,
ანა კალანდაძესთან არ დავრჩები ვალში,
ახლა ვესაუბრები მენდელსონს და
დიურერს,
როგორც გიმნაზიიდან გარიცხული
ბავშვი.

რეიტინგის პარადიგმა

Человек на 60% химикалиев,
На 40% на лжи и рожи?
На 1% на Микеланджело!
А. А. Вознесенский

რასაც მომთხოვ, რომ მქონდეს,
ორმაგად მოგცემდი,
სურვილი შეძლებაზე ბევრად მეტია,
ჩემში რუსთველია ნახევარი პროცენტი,
ნეტავი მას, ვისშიც ერთი პროცენტია.

საამაყოა, თანაც საარაკო,
მაჩაბლის ცამეტში შაშვების კონცერტია,
რაკი ერთი პროცენტია ჩემში აკაკი,
ნეტავი მას, ვისშიც ორი პროცენტია.

მეც პანთეონის კარიბჭესთან ვდგავარ,
ზოგიერთის ფასი ორი ცენტია,
ჩემში ორი პროცენტია დედოფალი ანა,
ნეტავი მას, ვისშიც ოთხი პროცენტია.

რამდენი ვინმე გადაეგო უშვილოდ,
ხოლო ჩემი შვილი პრიმა დოცენტია,
სიკვდილის გარდა, ვერაფერი უშველის,
ვისშიც რუსთაველი ნული პროცენტია.

სიკვდილის სტატისტიკა, ანუ სტანსები მეოთხედ

პანდემია – სიკვდილის ფოიერვერკები,
სიკვდილის აპოგეა – პანდემია,
რომელშიც კარგად ვერც კი ვერკვევი,
ეს გაურკვევლობა გადამდებია.

გადამდებია შიში და აპათია –
ჩვენი ცხოვრების ნოტარიუსი,
უფალმა ცოდვები აღარ გვაპატია,
და მოგვესია სიკვდილის ვირუსი.

სიკვდილის იარაღს ვყიდულობთ და
ვყიდით,
არც ჰიროსიმა გვახსოვს, არც –
ნაგასაკი,
ნაცვლად იმისა, რომ ავაგოთ ხიდები,
ავდექით და დალასში კენედი გავასაღეთ.

სანტიაგოში – პაბლო ნერუდა,
მადრიდში მოვკალით გარსია ლორკა.
სიკვდილის მანქანა ჩვენსკენ მობრუნდა,
ჩვენს სიცოცხლეს პანდემია ბლოკავს,

საშინელია სიკვდილის სტატისტიკა,
სახეზეა მესამე მსოფლიო ომი,
ასტრონომიული ციფრების უკან,
მძვინვარებს პანდემია – დაჭრილი ლომი.

ისე მითამაშებს მარცხენა წარბი,
ფატალური ცნობები მოდის და მოდის,
სიკვდილის სტატისტიკა გარბის და
გარბის,
კაცმა არ იცის, დასრულდება როდის.
მე კი არა, მთელი მსოფლიო ტირის,
პანდემია გასტანს ძალიან დიდხანს,
უფალმა ჩვენგან იბრუნა პირი,
ზოგი რამ ვაშინგტონნიუსმა გვითხრა.

ამასვე იუწყება სუყველა არხი,
ამას იუწყება ევრონიუსი,
იტალია მარხავს, აშშ მარხავს,
რუსეთი მარხავს, ჯიუტობს ვირუსი.

ავგუსტინე ნეტარი, რომ იყოს ცოცხალი,
უფალთან გაგზავნის ლოცვა-ეპისტოლეს,
მეც მინდა ვიყო მშვიდობის მერცხალი,
მეც მინდა, სინამდვილეს თვალი
გავუსწორო.

უფალს ესმის ჩვენი სათქმელი უთქმელად,
პანდემია არ არის ახალი ხილი,
ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით,
აღდგება უფალთან ჩატეხილი ხიდი.

შექსპირი

შექსპირი იყო სიუჟეტის პლაგიატი,
მაგრამ სონეტების დავარცხნა სტროფები,
ერთხელ ბოშა ქალმა გაუშალა კარტი,
და უწინასწარმეტყველა კატასტროფა.

ზოგი რამ ჯერ კიდევ დასადგენია,
ერთად აგროვებდა კატრენების მაგნიტებს,
შექსპირი იყო პლანეტარული გენია,
გენია და გენიალური პლაგიატი.

აღარც კი ვიცი, ამის მერე რა ვთქვა,
ახალ სახეებს მეტაფორაში ვეძებ,
სხვათა და სხვათა სიუჟეტებს ნოქავდა,
ისე, როგორც ვეშაპი თევზებს.

შექსპირმა უკვდავყო მეფე ლირი,
შექსპირმა უკვდავყო რომეო და
ჯულიეტა,
სპექტაკლის ფინალში ლირი თუ ტირის,
ბედისწერამ ოტელოც გაიმეტა.

ბაირონის ვირუსი შეეყარა პუშკინს,
ევგენი ონეგინი იცნობდა დონ ჟუანს,
აქ შემართულია ბელინსკის მუშტი,
ორ გენიოსს შუა.

პუშკინი იქით იყოს, აქეთ არი შექსპირი,
აქეთ შექსპირია, პუშკინი – იქით,
შუაში მე ვარ, ხალხური მესტვირე
და დრო სინათლის სიჩქარით მიჰქრის!

ონლაინ გაკვეთილი

ბნელში ფოსფორივით ანათებ და ელავ,
უშენოდ ჩემში არ ხდება არაფერი,
შენ, ჩემო ყველაფერო და ჩემო ყველავ,
შენ, ჩემო ყველავ და ჩემო
ყველაფერო!

ადამის ცოდვები მე უნდა ვზიდო,
მე ახლა ონლაინ გაკვეთილს ვატარებ,
შენ, ჩემზე პატარავ და ჩემზე დიდო,
შენ, ჩემზე დიდო და ჩემზე პატარავ!

მე უნდა ვიყო შენი სტოპერი,
ისევ და ისევ, ხელახლა და ხელახლა,
ჩემო სწორუპოვარო და ჩემო სწორფერო,
მე მინდა, შენს ღაწვებს ხელით შევეხო.

მე ვიყავი, შენი გრაალის მცველი,
რას მალავ გულში, რას მალავ უბეში?
ზაფხულში ციდან ფანტელების ცვენავ,
ზამთარში – ჩემო ცეცხლო და ნუგეშო!

იყო დრო, სატანამ შორი გზით მატარა,
სატანისტები ციმბირს იქით მგზავნიან,
დიდზე დიდო და პატარაზე პატარავ,
მწვანე პლანეტა შენი თანამგზავრია!

მე არც ბოროტი ვარ და არც კეთილი,
არც სტუმარი ვარ და არც მასპინძელი,
დღეს დავასრულოთ ონლაინ გაკვეთილი,
და ძველით ახალ წელს გავაგრძელოთ.

მონიკა ბელუჩი

ერთხელ ერთმა ნაცნობმა მესაათემ,
რომელი ჯობიაო, როცა გვაქვს ანტურაჟი,
მონიკა ბელუჩის ფოტოსესია თუ
მონიკა ბელუჩი – ნატურაში?

რა თქმა უნდა, ბელუჩი არ არის მესია,
მით უფრო, როცა გვაქვს მისი ანტურაჟი,
თუ ოთხმოცის ხარ – ფოტოსესია,
ორმოცის თუ ხარ, ჯობია ნატურაში!

ქ. ბათუმი
(ტ. 599100224)

შოთა ზოიძე

მხოლოდ ახალი...



თბილისზე აფხაზური რკინიგზის გასახსნელად წნეხი ძლიერდება

ამ მიმართულებით რუსული და აფხაზური მხარეების პრესინგს სომხეთიც მიუერთდა. ადგილობრივ მედიაში კვლავ გახშირდა პუბლიკაციები სხვადასხვა რანგის ექსპერტთა მოსაზრებებით, რომლებიც რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის ამოქმედების „აუცილებლობაზე“ მიუთითებენ.

რა სურს ერევანს?

„სომხეთმა აუცილებლად უნდა გამონახოს გზა და საქართველოს რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის გახსნაზე მოელაპარაკოს“, — აცხადებს „არმინფოსთან“ ინტერვიუში სომეხი ექსპერტი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის ფაკულტეტის კათედრის ხელმძღვანელის მოადგილე ვარდან ვოსკანიანმა.

მისივე აზრით, ბოლო დღეების განმავლობაში მოწმენი ვართ ორი ურთიერთდაკავშირებული მოვლენისა: თურქეთიდან რუსეთში ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს რკინიგზით პირველი სატვირთო მატარებელი ჩავიდა, ამას კი მაშინვე მოჰყვა აფხაზური „პარლამენტის“ მიმართვა მოსკოვს, რომელშიც აფხაზეთის გავლით რუსეთ-სომხეთის სარკინიგზო კავშირის გახსნისთვის „მზადყოფნაა“ გამოხატული.

„ნათელია, რომ საქართველოს ირგვლივ „საკომუნიკაციო გზების განბლოკვის პროგრამის“ კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მოვლენები ვითარდება და ეს მხოლოდ ეკონომიკის სფეროს როდი ეხება: ანკარამ და ბაქომ რუსეთში პირველი მატარებლის გაშვებით დაანახეს თბილისს, რომ საქართველო არც ერთ შემთხვევაში არ კარგავს თავის სატრანზიტო ფუნქციას, პირიქით, გააძლიერებს კიდეც მას. ამავდროულად, მოსკოვი, რომელიც ჯერ კიდევ აფხაზური მხარის მიმართვამდე ახორციელებდა თბილისზე გარკვეულ პროპაგანდისტულ ზემოქმედებას მედიის გამოყენებით სოხუმი-თბილისი-ერევნის რკინიგზის ამოქმედების მისაღწევად, ცდილობს, გაანულოს იმ სარკინიგზო პროგრამის მნიშვნელობა, რომელიც სომხეთისა და რუსეთის აზერბაიჯანის გავლით დაკავშირებაზეა მიმართული, ასუსტებს რა ამით თურქულ-აზერბაიჯანულ გავლენას. თუ გავითვალისწინებთ, რომ წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით, განბლოკვის შედეგად ჯულფა (ირანი) — ნახჭევანი-ერევნის რკინიგზის ამოქმედება შეიძლება, მაქსიმალურად სწრაფად განხორციელდეს, აფხაზური რკინიგზის ამოქმედებით „კონტინენტური“ აზერბაიჯანის გავლით ირან-რუსეთის სარკინიგზო კავშირის პროექტის მნიშვნელობა მკვეთრად შემცირდება, განსაკუთრებით — თუ გავითვალისწინებთ, რომ ირანული ასტარიდან რეშთამდე რკინიგზა ჯერ კიდევ არ არსებობს“ — განმარტავს სომეხი ექსპერტი.

როგორ უნდა მოიქცეს შექმნილ ვითარებაში ერევანი? ვოსკანიანის აზრით, მან ყველაფერი უნდა იღონოს, რათა თბილისს აფხაზური რკინიგზის ამოქმედებაზე მოელაპარაკოს: „ეს შესაძლებლობას მოგვცემს, გაცილებით მკაცრი პოზიცია დავიკავოთ ე.წ. „თურანული დერეფნის“ საკითხში და სომხეთ-საქართველო-რუსეთ-ირანის ერთობლივი ძალისხმევის წყალობით გახსნის მისი სრული ნეიტრალიზების პერსპექტივას“.

რა სურს სოხუმს?

ორიოდ დღის წინ აფხაზურმა „პარლამენტმა“ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიმართა განცხადებით, რომლის თანახმად, აფხაზეთი „მზადაა, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე მიიღოს მონაწილეობა აფხაზეთის ტერიტორიის გავლით რუსეთსა და სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის გახსნის პროექტში“.

ამ ინიციატივის ავტორი — „დეპუტატი“ ასტამურ ლოგუა აფხაზური ტრანზიტის რეანიმაციის იდეას სხვადასხვა მედიასაშუალებებში უკვე თვეზე მეტია, აჟღერებს. ამ მიმართულებით იგი ყარაბაღის მეორე ომის შემდგომ მოსკოვს, ერევანსა და ბაქოს შორის რეგიონული კომუნიკაციების განბლოკვის შესახებ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გააქტიურდა.

„იმედი მაქვს, რეგიონის ყველა იმ ქვეყნის ძალისხმევის შედეგად, რომელიც ამჟამად ჩართულია ურთიერთობების დარეგულირებაში, მთელი ამ სატრანსპორტო კომუნიკაციების გახსნაში, აფხაზეთიც მოხვდება ამ პროექტში. თუკი გვსურს, განვავითაროთ ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჩართულები უნდა ვიყოთ ყველა პროცესში და პროექტში, მით უფრო ასეთი - რეგიონული დონის პროექტებში. აფხაზეთი არ უნდა დარჩეს დეპო-ქვეყნად, ჩიხ-ქვეყნად და ამისთვის ჩვენის მხრივ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ“ — აცხადებს ლოგუა.

ამასთან, იგი თბილისსაც მოუწოდებს, „თუ თვლა იცის, დაითვალოს, რამდენს დაკარგავს ამ რეგიონულ პროცესებში არმონაწილეობით“.

რას ფიქრობს ოფიციალური თბილისი?

ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ რეგიონში 6-მხრივი (რუსეთი, თურქეთი, ირანი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) თანამშრომლობის ფორმატის — ე.წ. 3+3-ის აქტიური ლობირება მიმდინარეობს. ეს ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო იანვრის ბოლოს საქართველოში ჩამოსული ირანელი დიპლომატის — საგარეო საქმეთა მინისტრ მუჰამედ ჯავად ზარიფის მიერ ქვეყნის პირველ პირებთან გამართულ შეხვედრებზეც.

შეხვედრების შემდეგ მედიასთან ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა. ამ ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე კი თბილისის პოზიცია გააჟღერა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხვთისიაშვილმა, რომლის თქმით, **„საქართველო ვერ იქნება ჩართული ვერანაირ სამშვიდობო პლატფორმაში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპანტი სახელმწიფო — რუსეთი მონაწილეობს“.**

რაც შეეხება საკუთრივ აფხაზური რკინიგზის ამოქმედებას, თბილისი დღემდე ამ საკითხსაც მხოლოდ და მხოლოდ დეოკუპაციის ჭრილში განიხილავდა. როგორც ამასწინათ „აქცენტს“ პრემიერის სპეცწარმომადგენელმა რუსეთთან მოლაპარაკებების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ განუცხადა, ეს პოზიცია უცვლელია და თემა კარგა ხანია, არც ერთ დონეზე არავისთან არ განხილულა.

ბოლოს აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი ორი წლის წინ იყო ნახსენები. მაშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი რუსული მხარის დაინტერესებაზე საუბრობდა. საქართველომ კი პრინციპულად მიუღებლად ჩათვალა რუსეთის მცდელობები, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან გამყოფი ხაზებისთვის საბაჟო საზღვრის ნიშნები მიენიჭებინა.

ოფიციალურ თბილისს არაერთგზის განუცხადებია, რომ ტრანზიტის აღდგენისთვის ქართულმა და რუსულმა მხარეებმა ზედმიწევნით უნდა შეასრულონ ვალდებულებები, რომლებიც 2011 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულებით აქვთ ნაკისრი. ამ დოკუმენტის მთავარი ფასეულობა, ქართველი ექსპერტების შეფასებით, მის ნეიტრალურობაში მდგომარეობს — იმაში, რომ დოკუმენტში არაა ნახსენები საქართველოს ოკუპირებული რეგიონები და ისინი „სატრანზიტო დერეფნებად“ ფიგურირებენ, შეთანხმების მონაწილე მხარეებად კი — მხოლოდ ხელმომწერები, ანუ საქართველო და რუსეთი.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებს მონიტორინგის განხორციელებას შვეიცარიული კომპანია SGS-ის მიერ. მისი წარმომადგენლები სატრანზიტო (აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის) ტერიტორიებზე გამავალი ტვირთის დალუქვას განახორციელებენ, ხოლო შემდეგ ქართულ ან რუსულ ტერიტორიებზე ლუქები მოიხსნება.

რას ფიქრობენ ქართველი ექსპერტები?

ულირს კი თბილისს, აფხაზური სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის თემას დაუბრუნდეს და დაიწყოს ტექნიკური, ეკონომიკური და უპირველესად პოლიტიკური სირთულეების გადალახვა? ქართველი ანალიტიკოსების აზრით — არა.

ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ პროექტის რეალიზების პერსპექტივები პოლიტიკური საკითხების გადაჭრაზეა დამოკიდებული, მაგრამ გინდაც მოხერხდეს შეთანხმების მიღწევა, წმინდა ტექნიკური თვალსაზრისითაც კი პერსპექტივები არასახარბიელოა.

ენგურის ხიდი ჩვენთვის ჩაკეტილია!

გალელები კარანტინის გაუქმებას ითხოვენ

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ პანდემიის მიზეზით გასული წლის მარტის შუა რიცხვებიდან ჩაკეტილი ენგურის ხიდი გახსნილია, თუმცა მგზავრებისგან თითქმის დაცლილი. აფხაზეთის მცხოვრებნი საოკუპაციო ხაზის კვეთაზე უარს ამბობენ, რადგან დანარჩენ საქართველოში გადმოსვლისთანავე სავალდებულო 5-დღიანი კარანტინის გავლა მოუწევთ.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ კარანტინის ვადა 12-დან 5 დღემდე შეამცირა, ოკუპირებული გალის რაიონის მცხოვრებნი განმარტავენ, რომ ეს პირობა მათზე მორგებული არ არის.

11 თებერვლიდან, მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ ხიდის გახსნის შესახებ გააკეთა განცხადება, აფხაზეთის საოკუპაციო ხაზი გადმოკვეთეს ძირითადად მხოლოდ პენსიონერებმა. მათთვის ეს შესაძლებლობა არახალია, რადგან დე ფაქტო ხელისუფლება გამონაკლისის სახით 2020 წლის ოქტომბრიდან თვეში ერთხელ აძლევს ხანდაზმულებს „საზღვრის“ კვეთის უფლებას. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ორგანიზებით, პენსიონერებს ემსახურება მიკროავტობუსი, რომელსაც ისინი მიჰყავს საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, სადაც პენსიის გამცემი ავტომანქანა ელოდებათ. თანხის მიღებისთანავე ისინი უკან ბრუნდებიან.

გალში მცხოვრები 47 წლის ქალი რადიო „თავისუფლებასთან“ სატელეფონო საუბარში ამბობს, რომ სანამ იარსებებს კარანტინის ვალდებულება, ხიდი აფხაზეთის მცხოვრებლებისთვის რეალურად ჩაკეტილი დარჩება. იგი განმარტავს, რომ კარანტინისთვის თავის არიდების მიზეზით, სხვა მგზავრების მსგავსად, გადაადგილებას ისევ შემოვლითი გზით არჩევს სიცოცხლის რისკის ფასად — მდინარე ენგურის გადაცურვით. რესპონდენტი, რომლის ვინაობასაც უსაფრთხოების დაცვის მიზნით არ ვასახელებთ, ამბობს, რომ ოკუპირებულ რეგიონში ჩაკეტილი მოსახლეობის ყოფას მხოლოდ კარანტინის გაუქმება ან მაქსიმუმ 2 დღემდე შემცირება თუ შეამსუბუქებს.

„მეც გადმოსვლა მინდა, მაგრამ წყლით უნდა გადავიდე. ერთდღიანი და ორდღიანი საქმე რომ გაქვს, 5 დღეს კარანტინში ხომ ვერ დაყოფ? პენსიონრები მიდიან, თორემ ახალგაზრდა არავინ წასულა. ეს პენსიონრებიც ხიდამდე მიდიან, სადაც მანქანა ელოდებათ... ეს ხიდი გახსნილი არაა. ხიდი გახსნილია მაშინ, როცა ახალგაზრდას შეუძლია წავიდეს და საღამოს უკან დაბრუნდეს თავის სახლში. ამ ხიდით ვერავინ ისარგებლებს იმიტომ, რომ 5 დღე კარანტინში უნდა იყოს. წყლით გადავა ყველა. უბრალო ხალხისთვის ეს არაფერი არაა. უბრალოდ, თვითონ პოლიტიკოსებმა თუ დაიწერეს ქულა, მეტი არაფერი“, — ამბობს გალის მცხოვრები.

აფხაზეთთან საოკუპაციო გზაზე ენგურის ხიდი ერთადერთი ე. წ. გამშვები პუნქტია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. მას ჩაკეტვამდე ყოველდღიურად ასობით მოქალაქე კვეთდა. მგზავრები ძირითადად ერთ დღეში ახერხებდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოსვლას და უკან გამგზავრებას.

„გალელები ზუგდიდში მიდიან პენსიის ასაღებად, დევნილის ფულის ასაღებად, ბაზარში პროდუქტის საყიდლად, ტექნიკის საყიდლად. დრო რომ გექნება, ნათესავთან შეივლი და მასაც ნახავ. მიდიხარ და საღამოს უკან ბრუნდები, ან, ყველაზე დიდი, მეორე დღეს“, — თქვა აფხაზეთის მცხოვრებმა.

გალელები ჰყვებიან, რომ ე. წ. საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ რაიონის სოფლებში მცხოვრებთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მათ გაცილებით ძვირად უწევთ ადგილზე მედიკამენტებისა და სურსათის შეძენა.

სოციალურ პრობლემებთან ერთად ერთი წელი ჩაკეტილ აფხაზეთში ცხოვრება ემოციურად განსაკუთრებით მძიმე ხანდაზმულებისთვის აღმოჩნდა. მათ დიდ ნაწილს ოჯახის წევრები დანარჩენ საქართველოში ჰყავს. ერთი წელია, შვილები არ უნახავს 81 წლის ზაირა არონიასაც.

„ერთი წელია, ციხეში ვართ. ან ჩაგვკეტონ და ან გაგვიშვან. რა გახდა ეს კარანტინი, რა დავაშავეთ ასეთი?! ვინ ვართ, ვერ გაგვიგია. გვითხრან ბარემ, რომ თქვენ ჩვენი ხალხი არ ხართ, ჩვენი მოქალაქე არ ხართ. გადაკეტონ ეს გზა და მოგვიშორონ თავიდან. არც ამათ ვუნდივართ და არც იქითა მხარეს“, — ამბობს ზაირა არონია.

პანდემიის მიზეზით აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ ენგურის ხიდი 2020 წლის 14 მარტს ჩაკეტა. ამ ხნის მანძილზე ხიდი რამდენჯერმე მხოლოდ ცალმხრივად გაიხსნა და დაიხურა. დე ფაქტო ხელისუფლება გამონაკლისის სახით საოკუპაციო ხაზზე მხოლოდ ავადმყოფებს, „თანამშრომლებს და პენსიონერებს ატარებდა.

თამარ ზანთარაია
RADIOTAVISUPLEBA.GE

ტრამპს იმპიჩმენტი ვერ შეეხება!

აშშ-ის სენატმა ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი იმპიჩმენტის პროცედურის ფარგლებში წაყენებულ ბრალდებაში გაამართლა. ყოფილი პრეზიდენტის უდანაშაულოდ ცნობას 43-მა სენატორმა დაუჭირა მხარი, ხოლო დამნაშავედ 57-მა სენატორმა ცნო.

იმპიჩმენტის ფარგლებში დონალდ ტრამპის გასამართლებას აშშ-ის სენატის წევრთა 2/3-ის ხმა სჭირდებოდა (100 სენატორიდან 67 სენატორის ხმა).

11 იანვარს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის რეზოლუციის ტექსტი გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, დონალდ ტრამპს ბრალი ამბოხის წაქეზებაში ედებოდა. 14 იანვარს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს იმპიჩმენტი გამოუცხადა.

დონალდ ტრამპი აშშ-ის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი გახდა, რომელსაც იმპიჩმენტი ორჯერ გამოუცხადეს.

მეგან მარკლმა სასამართლო დავა მოიგო

მეგან მარკლმა ბრიტანულ ტაბლოიდს Mail on Sunday-ს სასამართლოში მოუგო, რომელმაც სასექსის ჰერცოგინიას მამისადმი მიწერილი პირადი წერილი გამოაქვეყნა.

მეგან მარკლმა ტაბლოიდს სტატიების სერიის გამო უჩივლა, რომელშიც ნაწილობრივ ნახსენები იყო მის მიერ 2018 წლის აგვისტოში დაწერილი წერილი. პრინც ჰარის მტკიცებით, ჟურნალისტებმა ფრაზები კონტექსტიდან ამოგლიჯეს და მკითხველის მანიპულირება სცადეს.

მეგან მარკლმა Mail on Sunday-ის წინააღმდეგ სარჩელი 2019 წლის ოქტომბერში შეიტანა.

ძლიერი მიწისძვრა იაპონიაში

იაპონიაში ძლიერი მიწისძვრის შედეგად დაშავებულთა რიცხვმა 124-ს მიაღწია. ძირითადად დაზარალებულებს მსუბუქი ტრავმები აღენიშნებათ. მათი ნაწილი უკვე გაწერეს საავადმყოფოებიდან.

მანამდე, სტიქიასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა. იოშიჰიდე სუგას თქმით, ქვეყანაში მიწისძვრის შედეგად ატომური ობიექტები არ დაზიანებულა.

სუგამ მოუწოდა მოქალქეებს, არ დატოვონ სახლები და მზად იყვნენ შესაძლო განმეორებითი ბიძგებისთვის. 13 თებერვალს იაპონიაში მომხდარი სტიქიის სიმძლავრე 7,3 მაგნიტუდას შეადგენდა. ყველაზე ძლიერად ბიძგები ფუკუშიმასა და მიაგის პროვინციაში იგრძნობოდა.

უხვთოვლობა მოსკოვში

რუსეთში ბოლო 48 წლის განმავლობაში ყველაზე უხვი ნალექი მოვიდა. თოვლის საფარის სიმაღლემ რუსეთის დედაქალაქში 30 სანტიმეტრს გადააჭარბა, რიგ მონაკვეთებზე კი 60 სანტიმეტრს აღწევს.

უხვთოვლობამ ქალაქში სატრანსპორტო კოლაფსი გამოიწვია. კილომეტრიან საცობებში ათასობით ავტომანქანაა მოყოლილი. შეფერხებით მუშაობს დედაქალაქის აეროპორტები. ვრცელდება ინფორმაცია ერთი ადამიანის დაღუპვის შესახებაც.

საზარელი ავტოავარია ტეხასში

დღემდე გრძელდება ტეხასში საავტომობილო გზატკეცილის გაწმენდა 11 თებერვალს მომხდარი მასშტაბური ავტოავარიის შემდეგ, რომელშიც 133 ავტომობილი „მონაწილეობდა“. მაშველებმა გაჭეჭყილ მანქანებში 6 გვამი აღმოაჩინეს, ხოლო საავადმყოფოში 60 ადამიანია გადაყვანილი.

ავტოავარიაში მოყვნენ მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, სასწრაფო დახმარებისა და პოლიციის მანქანები. გზის გაწმენდას ართულებს ის, რომ ლითონის ნამსხვრევები რამდენიმე კილომეტრზეა მიმოფანტული.

კატალონიაში პარლამენტს ირჩევენ

ელექტორატი რეგიონული პარლამენტის 135 დეპუტატს აირჩევს. ბოლო გამოკითხვებით, არჩევნებში გამარჯვების ყველაზე რეალური შანსი სოციალურ პარტიას აქვს, რომელიც ესპანეთისგან გამოყოფის წინააღმდეგია, მეორე ადგილზე მემარცხენე რესპუბლიკელები არიან, მესამე პოზიციას კი მოძრაობა „ერთად კატალონიისთვის“ იკავებს, რომელიც ესპანეთის შემადგენლობიდან გასვლას უჭერს მხარს.

ბოლოს კატალონიაში არჩევნები 2017 წელს ჩატარდა, მას შემდეგ, რაც ესპანეთის ხელისუფლებამ რეგიონში გამართული ე.წ. „დამოუკიდებლობის რეფერენდუმის“ შედეგები უკანონოდ ცნო.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

დადგენილება

არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

საქმე №01-67/2020

ქ. თბილისი — 12 თებერვალი, 2021 წელი

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის და საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების საკითხი.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ ნინო ჩიჩუას მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის დებულება და საარბიტრაჟო უწყება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ და თავად ადრესატის მიერ მითითებულ მისამართზე გაეგზავნა მოპასუხეს, მაგრამ არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ ჩაბარდა მისამართზე არყოფნის გამო. მან ასევე რეაგირება არ მოახდინა მისამართზე დატოვებულ საფოსტო შეტყობინებებზე და არცერთხელ არ მიაკითხა ფოსტის სერვისცენტრს გზავნილის ჩასაბარებლად.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხე ნინო ჩიჩუას სარჩელში მითითებულ მისამართზე გზავნილი ვერ ჩაბარდა და ამასთან მისი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, სარჩელის და საქმის განხილვის თარიღის თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. მოპასუხე ნინო ჩიჩუას საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმოებაშია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელი ნინო ჩიჩუას მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.

<u>სასარჩელო მოთხოვნა:</u>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის საფუძველზე ნინო ჩიჩუას სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სასარგებლოდ დაეკისროს 4921.80 ლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებელის 246.09 ლარის გადახდა.

2. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 26-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში წარმოადგინოთ წერილობითი შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) მხარეთა სახელწოდებები;

ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);

გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რითაც შეიძლება დადასტურდეს შესაგებელში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;

დ) შესაგებელზე (შეგებებულ სარჩელზე) თანდართული საბუთების ნუსხა.

3. ნინო ჩიჩუას ეცნობოს, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2021 წლის 5 მარტს, 16:30 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 30, სართული 2, ბინა 5.

4. ნინო ჩიჩუას განემარტოს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

5. ნინო ჩიჩუას ეცნობოს, რომ საქმეს განიხილავს საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე მამუკა ღვინიაშვილი. მასვე განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვს გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართონ არბიტრაჟს არბიტრის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

6. ნინო ჩიჩუას განემარტოს, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, ასევე არბიტრაჟის უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. ნინო ჩიჩუას განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/document/view/1179539?publication=0

8. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

9. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

◎ უკვე დრო!

მართლაც, მომწიფდა...

მართალია, ქართულ სარაგბო თემში მონასტერი ისევ არეულია, მაგრამ არ წყდება საუბრები „ბორჯღალოსანთათვის“ დაწინაურების შანსის მიცემის შესახებ.

ამჯერად ბი-ბი-სის პირდაპირ ეთერში იტალიელთა წაგებას 6 ერზე ფრანგებთან სასტარტო შეხვედრაში გამანადგურებელი ანგარიშით — 10:50, თანაც, საკუთარ მოედანზე, მკვახე კომენტარი მოაყოლა უელსის ნაკრებისა და „ბრიტანელი ლომების“ ყოფილმა კაპიტანმა **სემ უორბარტონმა**, რომელმაც „სკუადრა აძურა“, რომ იტყვიან, მიწაში ჩადო და შემდეგი განაცხადა: **„ვფიქრობ, უკვე მოვიდა ცვლილებების დრო, რადგან აპენინელთა თამაშის ხარისხი ბოლო წლებში აღარ შეესაბამება 6 ერის დონეს და ისინი კონკურენტუნარიანები აღარ არიან.**



მოგეხსენებათ, საქართველო იგებს და იგებს მეორე დონის ტურნირებს, ამიტომ, ვფიქრობ, გავარდნა-შემოსვლის სისტემა ექვს ერზეც უნდა დაინერგოს.

დიახ, თუ კავკასიელები კვლავ გაიმარჯვებენ მეორე ეშელონში, ხოლო მათი კონკურენტები ისევ ბოლო ადგილს დაიკავებენ ელიტაში, მაშინ დაინიშნოს პლეიოფი, თუნდაც იტალიაში. დარწმუნებული ვარ, ამ ბრძოლას ტელევიზიით ბევრი მაყურებელი ეყოლება“.

კობა კობახიძე

◎ ბრძენთა თამაში

ჯობავას ონლაინი

კორონავირუსის გაჭიანურებული პანდემიის მიუხედავად, საჭადრაკო ცხოვრება თანდათან იკრებს ძალებს და სასიამოვნოა, რომ მოვლენათა ეპიცენტრში ქართველი დიდოსტატებიც ტრიალებენ.

ამჯერად **ბაადურ ჯობავამ** გაგვახარა, რომელმაც საფრანგეთში შვეიცარიული სისტემით გამართული პრესტიჟული ონლაინ-ბლიცტურნირი მოიგო 300-მდე მეტოქესთან ბრძოლაში, სადაც თითოეულ მონაწილეს პარტიისთვის 3-3 წუთი ეძლეოდა ყოველ სვლაზე 2-2- წამის დამატებით — მან 11 ტურში 10 ქულა მოაგროვა. ქალებში 8 ქულით ყველას უკრაინელმა ნატალია ბუკსამ აჯობა.

ბეჟან დოლიძე

◎ მოძღვარი

საუკუნოვანი ღვაწლი

სახელოვან ქართველ საკალათბურთო მოღვაწეთა თანავარსკვლავედს ამშვენებს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სამშობლოში პერსპექტიულ ბავშვთა ერთ-ერთი საუკეთესო აღმზრდელი მიხეილ კეკელიძე, რომლის სახელიც მინიჭებული აქვს თბილისის განათლების სტრუქტურის ბავშვთა სპეციალიზებულ სკოლასა და ვერის ბაღის სასახლეს.

ხელოვნების ტრფიალი და შესანიშნავი ლექსების ავტორი, ეს საოცრად ერუდირებული პიროვნება სარბიელზე დაუვიწყარ სპექტაკლებს დგამდა, რაშიც მის მიღწევათა ნუსხაც დაგარწმუნებთ: დედაქალაქის „ნაუკასა“ და „დინამოში“ თამაშისას მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, ხოლო ორჯერ ქვეყნის თასის მფლობელი გახდა.

მოწოდებით პედაგოგის ტალანტი განსაკუთრებით სამწვრთნელო ასპარეზზე გაიფურჩქნა. სწორედ მისი თავკაცობით მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის იუნიორთა ნაკრებმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობა. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს „ძია მიშას“ მიერ სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში აღზევებული „გეპეის“ თვითმყოფადობით გამორჩეული



სიმპათიური გუნდი, რომელიც ტოლ-სწორად ებრძოდა საბჭოთა კალათბურთის გრანდებს, სტუდენტთა შორის კი არაერთი საკავშირო ტურნირი მოიგო.

„ძია მიშა პარალელურად ცხოვრებას გვასწავლიდა“ — ეს ლეგენდარული გურამ მინაშვილის სიტყვებია.

11 თებერვალს მიხეილ კეკელიძეს 100 წელი შეუსრულდებოდა...

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხალიჩიდან — ფერწერაში

უპირველესად — სამშობლო!

შარშან კორონავირუსის პანდემიის გამოცხადების წინ ავთანდილ (ნოდარ) რეხვიაშვილმა საქართველოს მხატვართა კავშირში ფერწერული ნახატების მესამე პერსონალურ გამოფენაზე მიგვიწვია და ამ დღეებში აღნიშნული მოვლენისადმი მიძღვნილი კრებულით დაგვასაჩუქრა, რომელიც მშობლების, მეუღლისა და სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გადატანილ ბრძოლებში დაღუპულ გულანთებულ მეომართა ნათელი ხსოვნისთვის დანთებულ სანთელს წარმოადგენს.

ცხელ წერტილებში წარმოებული ოპერაციების აქტიურ ვეტერან მონაწილეს სამხედრო აღმშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ორჯერ ვადამდე მიენიჭა კაპიტნისა და მაიორის წოდებები, თუმცა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის, ხოლო სიჭაბუკეში — გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულს ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში დაოსტატებულ ფალავნად და ჩვენი რესპუბლიკის, უკრაინისა და საკავშირო ნაკრები გუნდების წევრად უფრო ვიცნობდით.

როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, ონის რაიონის სოფელ ჭიორის მკვიდრს მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელიც დაუმთავრებია სიყმაწვილეში და ბავშვობისდროინდელ გატაცებას თავს დატეხილი პირადი ტრაგედიის შემდეგ ერთგულობს.

სწორედ ზემო რაჭის უმშვენიერესი სანახები ქცეულა, პორტრეტების, ნატურმორტების, ზღვისპირა პეიზაჟებისა და რელიგიურ ძეგლთა მსგავსად, ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალის ლაურეატის (ფერწერა, 1987 წ.) შთაგონების წყაროდ, მუზა კი, იცოცხლეთ, არა მარტო სახვით ხელოვნებაში, არამედ პოეზიაშიც აქმნევინებს მამულის ბუმბერაზი მთებივით ხალას და თავანკარა სტრიქონებს:

„სოფელ ღებსა და ჭიორის ჭალებს
ომახიანად უმღერს რიონი,
მოედინება თვის სიამაყით
და მოაქვს სული კავკასიონის“.



მოკლედ, ვისაც დასახელებული ალბომის გაცნობის ბედნიერება ეწვევა, დარწმუნდება, რომ მის წინაშეა ჭეშმარიტად სახალხო მხატვრის შემოქმედება, რასაც შთაბეჭდილებათა წიგნში დატოვებული სხვადასხვა პროფესიისა და თაობათა წარმომადგენლების აღტაცებული შეფასებები ადასტურებს.

გია პლატონიშვილი

◎ ტრიუმფი

ევროპის სახელით!

ის, რაც ბევრისთვის უტოპია იყო, მიუნხენის „ბაიერნმა“ რეალობად აქცია, სეზონი შესაძლებლობათა მაქსიმუმით — ექვსივე ტიტულის მოგებით დაასრულა და „ბარსელონას“ მიერ 2009 წელს დამყარებული აბსოლუტური რეკორდი გაიმეორა ისევე, როგორც მისმა თავკაცმა ჰანსდიტერ ფლიკმა — პეპ გვარდიოლას მიღწევა.

საუბარია გერმანიის ბუნდესლიგის, თასის, სუპერთასის, ჩემპიონთა ლიგის, ევროპის სუპერთასისა და საკონტინენტთაშორისო თასის დაუფლებაზე.

ეს უკანასკნელი, რომელსაც ამჯერად მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი ჰქვია, რეკორდმაისტერმა მომავალი მუნდიალის სამშობლოს — ყატარის დედაქალაქ დოჰაში ფინალურ შეხვედრაში მექსიკურ „ტიგრესთან“ ფრანგი მცველის პავარის გატანილი გოლით მოიხვეჭა — 1:0, ხოლო მესამე ადგილისთვის გამართულ ბრძოლაში ეგვიპტურმა „ალ აჰლიმ“ პენალტების სერიაში ბრაზილიური „პალმეირასი“ დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ბავარიული გრანდი დასახელებულ წოდებას 2013 წელსაც შესწვდა და მაშინ გადამწყვეტ მატჩში მაროკოს „რაჯა კაპაბლანკა“ დაამარცხა — 2:0.

და კიდევ: კარგა ხნის განმავლობაში ხსენებული ჯილდოსთვის მხოლოდ ევროპული და სამხრეთამერიკული გუნდები დაახლოებით თანაბარი წარმატებით თამაშობდნენ, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ძველი სამყაროს წარმომადგენელთა უპირატესობა თვალსაჩინოდ გამოიკვეთა — ცამეტიდან თორმეტი ცდა სწორედ მათი ტრიუმფით დასრულდა (გამონაკლისია ბრაზილიური „კორინტიანსი“).

დავძენთ, რომ საკონტინენტთაშორისო თასის მორიგ გათამაშებას წლეულს იაპონია უმასპინძლებს, ყატარმა კი პანდემიის გამო განვლილი წლიდან გადმოტანილი უფლებით ისარგებლა.

გიორგი შოთაძე

◎ გვეხმაურებიან

„მინი არლინგტონი მახათას მთაზე“

შეუძლებელია, მსოფლიოში სახელგანთქმული არქიტექტორის, ჭეშმარიტი ხელოვანის ვახტანგ დავითაიას „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№18) გამოქვეყნებული, ფრიად ანგარიშგასაწევი წერილი წაიკითხო და მისი შეშფოთება არ გაიზიარო. ის ამბავი, რომ უსულგულო, უსახურ ჩინოვნიკებს მახათას პანთეონი თავიდანვე არლინგტონის მსგავს სასაფლაოდ ჩაუთქვამთ, შეზღუდულობისა და პროვინციალიზმის კიდევ ერთი გამოვლინებაა.

ჯარისკაცთა საერთო განსასვენებელში ერთნაირი საფლავების არსებობა, თავისი მიზანდასახულობით, სავსებით გასაგებია, მაგრამ იგივე საზომის მიყენება კულტურის მოღვაწეებისადმი არაფრით არ არის გამართლებული. ასევე უხერხულობას ქმნის, რომ გარდაცვლილი მეუღლეები განაცალკევო, ერთმანეთს დააშორო. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ღირსეულ მწერალსა თუ ხელოვანს, მეუღლეებიც შესაფერისი ჰყავთ და უთუოდ სასურველია, მიწიერი ცხოვრების მერე, მათი საფლავები გვერდიგვერდ იყოს. საქართველოში „მოყვარული ცოლ-ქმრის გაყრა“ მუდამ დიდ ცოდვად ითვლებოდა და ეს ჩვენი უკვდავი ხალხური პოეზიის ერთ-ერთმა მარგალიტმაც ცხადყო.

მახსოვს, როცა დიდი ხნის წინ, ერთი ახლობლის გასვენებისას, მუხათგვერდის სასაფლაოზე მოვხვდი (თავდაპირველად იქ ინდივიდუალური, განსხვავებული საფლავები იკრძალებოდა), შემზარა სიგრძეზე განლაგებულმა ბაზალტის ნაცრისფერმა, დაწესებულ სტანდარტში გაკეთებულმა საფლავებმა. ამან ასეთი შემთხვევა მომაგონა; ცხონებულ ლევან გოთუას, დიდ ქართველ მწერალსა და წინაპართა უბადლო ჭირისუფალს (იგი მამაჩემის მეგობარი იყო, გადასახლებულებმა უკიდურეს ჩრდილოეთში, ვორკუტაში, გაიცნეს ერთმანეთი) შინ ვეწვიე და რომელიღაც რედაქციის დავალებით ვთხოვე, მისებურად გამოეხატა თავისი დამოკიდებულება იმხანად გამოსული წიგნებისადმი. უარს არაფერზე მეუბნებოდა. კვირაც არ გასულა, დამირეკა და საუკეთესო ესსეი გადმომცა, „სარკის მერცხალა.“ ბატონ ლევანს კონკრეტულად არავინ უხსენებია, რომელიმე პიროვნების გულის ტკენას მოერიდა, მაგრამ მის არჩევანსა და სულისკვეთებას წამკითხველი იოლად მიხვდებოდა. უნიჭოდ, უგერგილოდ დაწერილი წიგნები, რომელთაც ღვთიური მადლის, შთაგონების, ინდივიდუალობისა არაფერი სცხია, კალმის ოსტატმა მოხდენილად შეადარა ყაზარმაში გამწკრივებულ, ქირზის ტლანქ, ჯარისკაცულ სალაშქრო ჩექმებს, ერთმანეთისგან არაფრით რომ არ განსხვავდება. თუ მდგომარეობა დროულად არ შეიცვალა, სწორედ ამგვარივე არასახარბიელო ხვედრი ელოდება მოუვლელობისგან უკვე ბალახმოდებულ, მახათას ახალდაარსებულ პანთეონსაც.

„შენ ამბავს, რომ სასაფლაოს“... № 18. ოთხშაბათი, 27 იანვარი, 2021 წელი.

მინი არლინგტონი მახათას მთაზე

**საზარბაზანში ერთი ნაწილის აქციურმა შეგვლილმა, ათეულობით ბეტონეკადამ, ბინძურებმა ფიფქიანის პანთეონის კიდეებ ერთიდან ბეტონოლოის ათობიზე ფაქტორი ბახალა მოიზე ახალი პანთეონს, დიდი ხნის წინანდელი ოცეული რეალიზაცია დიდებულის პანთეონის ეიფარნიკის ჩრმელიმე ეარანმენტალისტებიდან. ბოდარ ნოტეი ეფი პანთეონის ინტერიერიდან და ფასადელებელი ეაბსაკეთებელი ნაგალეთი ერთის ფიქტეს ნინაზე. ეიდებულის პანთეონ ეკეთებელ ეკეთებელ ეკეთებელ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲑᲐᲥᲝᲨᲘ

ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ „ᲚᲝᲙᲓᲐᲣᲜᲘᲡ“ შემდეგ, აზერბაიჯანში მუზეუმები გაიხსნა. საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში ზურაბ პატარაძე თანამშრომლებთან და დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად ეწვია ჰეიდარ ალიევის სახელობის ცენტრს ქალაქ ბაქოში.

როგორც „იმედინიუსს“ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში განუცხადეს, შენობის ორ სართულზე განთავსებულია ეროვნული მუზეუმის გამოფენა „გადარჩენილი შედევრები – აზერბაიჯანული და აღმოსავლური კოლექციები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან“.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები სამი ძირითადი კოლექციის ნაკრებია; ეს არის გვიანირანული ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ყაჯართა დინასტიის მმართველობის ეპოქაში (1785-1925) შეიქმნა ერევნის სარდრის სასახლის კომპლექსის არტეფაქტები (XIX ს.) და ცნობილი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის (1846-1916) უნიკალური ფოტოარქივი.

გამოფენა, რომელიც 2019 წლის 27 მაისს გაიხსნა და 2021 წლის აპრილამდე გასტანს, 5- წლიანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დასკვნითი ეტაპია, რომელიც ეროვნული მუზეუმის, აზერბაიჯანის ხელოვნების მუზეუმისა და ალიევის საქველმოქმედო ფონდის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა.

გამოფენის კურატორები არიან ეროვნული მუზეუმის მხრიდან აღმოსავლური კოლექციების უფროსი კურატორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ირინა კოშორიძე და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელდარ ნადირაძე. აზერბაიჯანის მხრიდან კი – აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნული მუზეუმის დირექტორი ჩინგიზ ფარზალიევი და პროექტის ხელმძღვანელი, ჰეიდარ ალიევის ცენტრის წარმომადგენელი ემინ მამადოვი.

გამოფენის პარალელურად, გამოიცა წიგნი-კატალოგი, რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ელდარ ნადირაძე. ასევე, დაგეგმილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოწყობა.

ᲓᲘᲓᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ – ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲠᲥᲘᲕᲨᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ კინორეჟისორმა ოთარ იოსელიანმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს საკუთარი ფილმების ელექტრონული ვერსიები გადასცა.

ეროვნული არქივის ინფორმაციით, 1950-იანი წლებიდან 2015 წლამდე საქართველოსა და საფრანგეთში გადაღებული 21 დოკუმენტური და მხატვრული ფილმის მაღალი ხარისხის ციფრული ასლი (DCP ფორმატი) ამიერიდან საქართველოს ეროვნული საარქივო ფონდის ნაწილი გახდა. ფილმების სკანირება და ციფრული რესტავრაცია საფრანგეთში განხორციელდა.

ფილმებს შორისაა „გიორგობისთვე“, „იყო შაშვი მგალობელი“, „პასტორალი“, „ძველი ქართული სიმღერა“, „თუჯი“, „მთვარის ფავორიტები“, „შემოდგომის ბაღები“, „პეპლებზე ნადირობა“ და სხვა.

ეროვნული არქივის ცნობით, არქივში დაცულია 36 ათასზე მეტი კინოფირი, ასევე ფილმების ციფრული ვერსიები. მათ შორის უძველესია 1909 წელს თბილისში გადაღებული კინოსიუჟეტი და 1912 წლით დათარიღებული პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი ქრონიკალურ-დოკუმენტური კინონაწარმოები „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. ეროვნულ არქივში სისტემატურად მიმდინარეობს ფილმების გაციფრება 4k გარჩევადობის კინოსკანერზე და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ციფრული რესტავრაცია.

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲐᲣᲤᲚᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ
ᲛᲘᲠᲥᲛᲐ (ᲛᲘᲒᲔᲑᲔᲑᲐ) ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡᲐ



15 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მირქმას (მიგებებას) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

...ცნობილია, რომ, როცა იესო ქრისტე ორმოცი დღის შესრულდა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მისი დამწინდველი იოსები ტაძარში მივიდნენ. წესისამებრ, ახალნამშობიარევ დედას 40 დღე არა აქვს უფლება ტაძარში შესვლისა, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვა არ სჭირდებოდა, რადგან ქალწულად დარჩა, მაგრამ მაინც შეასრულა ღვთის კანონი.

...სულიწმიდის მადლით ცხებული მართალი სვიმეონი ტაძარში ჩვილით მისულ მარიამსა და მართალ იოსებს მიეგება. იგი ერთ-ერთი იმ 70 ებრაელთაგანი იყო, რომლებსაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე უნდა ეთარგმნა ბიბლია. სვიმეონს წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა და როცა მიუახლოვდა ადგილს, სადაც წერია, **„ჰა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“,** ეგონა, რომ წიგნში გაპარული იყო შეცდომა, რადგანაც შეუძლებლად ჩათვალა, ქალწულს ეშვა ძე, სვიმეონმა ადგილის შეცვლა განიზრახა.

...მოულოდნელად უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ვერ იხილავ სიკვდილს, ვიდრე არ ნახავ ქალწულისგან შობილ მაცხოვარს“. 360 წლის იყო სვიმეონი, როცა იერუსალიმის ტაძარში მიყვანილ ბავშვთა შორის სულიწმინდის კარნახით შეიცნო მაცხოვარი და შემდეგი სიტყვებით მიეგება: **„აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილე თვალთა ჩემთა მაცხოვარებაი შენი“.**

...ნიშანდობლივია ისიც, რასაც წმინდა მამები გვასწავლიან, – არა მხოლოდ მართალი სვიმეონი და წმინდა ანა გახდნენ უფლის მიგებების ღირსნი, არამედ ყოველ მორწმუნეს აქვს, უფალთან შეხვედრის საშუალება – და ეს ხდება ტაძარში აღსარებისა და ზიარების დროს.

გილოცავთ სრულიად საქართველოს ამ უდიდეს საუფლო დღესასწაულს!

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡᲘ ᲨᲕᲚᲔᲑᲘ ᲮᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ

დაცული ტერიტორიების სააგენტომ Facebook-ის საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტო, რომელიც ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკშია გადაღებული.

„ულამაზესი შვლები ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკში ტყის ჰარმონიული ხმებით ტკბებიან“, – წერია ფოტოს აღწერაში.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და მოიცავს სამი სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას, ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკს, ასას აღკვეთილსა და როშკის ბუნების ძეგლს. მისი საერთო ფართობი 79 908 ჰა-ია. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები დედაქალაქიდან დაშორებულია 150 კმ-ით. დაცული ტერიტორიის მდიდარი მცენარეული სამყარო განაპირობებს ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნებას, სადაც საქართველოს წითელი ნუსხის სახეობებიდან აღსანიშნავია ჯიხვი, არჩვი, ნიამორი, კეთილშობილი ირემი, შურთხი, როჭო. მტაცებელი ცხოველებიდან და ფრინველებიდან აღსანიშნავია მურა დათვი, ფოცხვერი, ჯიქი, წავი, ორბი, ბეგობის არწივი, ფასკუნჯი, სვავი და სხვა.

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲗᲣᲜᲘᲔᲑᲘ

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო Facebook-ის საკუთარ გვერდზე ფოტოს აქვეყნებს, რომელზეც დათვი და მისი ორი ბელია ასახული.

ფოტო ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზეა გადაღებული.

„ახლადგაღვიძებული ორი ფუმფულა ბელი, დედასთან ერთად ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ბაჯბაჯებს“, – წერია ვიდეოს აღწერაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ – ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲕᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.2888; ᲔᲕᲠᲝ - 3.9824;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.5359;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4277; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.4678;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.9328;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.2886.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 15 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+1,	ᲓᲦᲔ	+14
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-3,	ᲓᲦᲔ	+13
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+1	ᲓᲦᲔ	+15
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-1,	ᲓᲦᲔ	+13
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+3,	ᲓᲦᲔ	+13

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge